ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

7 მარტიდან!
„ახალ თაობასთან“ ერთად
მურმან ლებანიძე
100 ლექსი
ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი




სამშაბათი, 8 მარტი, 2016 №56 (6982) ფასი: 50 თეთრი

# „ქართული ოცნება“ — არც ერთი კვირა ახალი დაპირისპირების გარეშე!



გვ.3

რესპუბლიკელები კონსტიტუციაში ქორწინების განმარტების ჩაწერას მხარს არ დაუჭერენ



## ბაია გადაბაძე: „ლევან გაჩეჩილაძის დარეგისტრირება ხელისუფლების ბრძოლაა მაესტროს წინააღმდეგ“



გვ.2

ია ანთაძე: „აქ ხელისუფლების ინტერესს ვერ ვხედავ“






## ალექსი პეტრიაშვილზე თავდასხმის ბრალდებით ბორჯომში ლევან მ. დააკავეს



გვ.2



ეკა მიშველაძე: „იმედია, შემკვეთსაც დააკავებენ“

## გიგი წერეთელი: „ეს ხელისუფლება შემოდგომაზე შეიცვლება“



გვ.4

მოხდება თუ არა ოპოზიციის გაერთიანება

„კვირიკაშვილი პოლიტიკაში ახალბედაა“



გვ.4

## გია ცაგარეიშვილი: „ჩვენ თინა ხიდაშელზე მეტი თავმოყვარეობა გვაქვს“

## გიგა ბუკია: „რუსეთი ოკუპანტია, მაგრამ მასთან დიალოგი საჭიროა“



გვ.5



გვ.3

## აიუფ ბორჩაშვილს 14 წელი, გიორგი ხუტუნიშვილს — 11, დავით ფირისებიას 10 წელი მიესაჯათ

ISSN 1987-9385



## მოლდავეთის 2016 წლის საერთაშორისო დეგუსტაციაზე მხოლოდ შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ ორი ნიმუში იქნა წარდგენილი

გვ.6

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ბაია გადაბაძე: „ლევან გაჩეჩილაძის დარეგისტრირება ხელისუფლების ბრძოლაა მაესტროს წინააღმდეგ“

## ია ანთაძე: „აქ ხელისუფლების ინტერესს ვერ ვხედავ“

ნონა ცაბაძე

გუშინ, 7 მარტს, დილით საჯარო რეესტრმა ლევან გაჩეჩილაძე ტელეკომპანია მაესტროს დირექტორად დაარეგისტრირა.

მაესტროს ყოფილი დირექტორი **ბაია გადაბაძე** აცხადებს, რომ არ ელოდა ამ გადაწყვეტილებას და მიიჩნევს, რომ ეს არის ღია ბრძოლა და დიდი უკანონობა.

***– რას ელოდებით?***

– ვერ გეტყვით, რას უნდა ველოდოთ. ჩვენ ყველაფრისთვის მზად ვართ. დაველოდებით ქმედებებს ლევანის მხრიდან. ერთს ვიტყვი, რომ ეს არ არის მეწილეებს შორის დავა, ეს არის დავა ხელისუფლებასა და ტელევიზიას შორის. ეს არის ხელისუფლების ბრძოლა ტელევიზიის წინააღმდეგ. აქ არაფერ შუაში არ არის ლევან და გია გაჩეჩილაძეები. ისინი არიან მხოლოდ ინსტრუმენტები.



***– თუ იცით ლევან გაჩეჩილაძის პოზიცია, მისი გეგმები?***

– ჩემთვის უცნობია, რას აპირებს ლევანი, სად შეხვდება ტელევიზიის თანამშრომლებს, ან სად განთავსდება. ის ამ შენობაში, როგორც ტელევიზიის დირექტორი, ვერ შემოვა.

***– როგორც ცნობილია, ლევანი აპირებს მოსვლას და თანამშრომლებთან შეხვედრას.***

– ეს შენობა არ ეკუთვნის შპს სტუდია მაესტროს და ეს ლევან გაჩეჩილაძემ ძალიან კარგად იცის. მე ვარ ამ შენობის მფლობელის მინდობილი პირი. ტელევიზიის მართვას ლევანი ამ შენობიდან ვერ შეძლებს.

***– საუბარია, რომ თქვენ ზეწოლას ახდენთ მაესტროს ჟურნალისტებზე.***

– გამოაცხადოს ლევანმა, სად უნდა მივიდნენ თანამშრომლები, გაესაუბროს, რა შეთავაზება აქვს მათ მიმართ, რა პირობებზე მუშაობას სთავაზობს და საერთოდ რას სთავაზობს მათ. თუ მაესტროს თანამშრომლებს აქვთ სურვილი ითანამშრომლონ ახალ დირექტორთან, რომელიც უკანონოდ არის დანიშნული, შეუძლიათ ეს გააკეთონ. მოისმინონ მისი პირობები. მე ამ ბრძოლას მარტო გავაგრძელებ თუ ათ ადამიანთან ერთად, ამას მნიშვნელობა არ აქვს. ვიმეორებ, ეს არის ბრძოლა ხელისუფლებასა და მაესტროს შორის.

* * *

მაესტროს ირგვლივ განვითარებულ პროცესებს „ახალ თაობასთან“ მედიაექსპერტი **ია ანთაძე** აფასებს.

***– ია, როგორია თქვენი შეფასებები, რამდენად სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო საჯარო რეესტრმა?***

– ადრე თუ გვიან, ალბათ ეს ამბავი აუცილებლად მოხდებოდა. რადგან ვის ხელშიც არის საკონტროლო პაკეტი, მას ენიჭება მართვის უფლება, ეს ასეა ყოველთვის. დღეს გვაქვს უბრალოდ შედეგი იმისი, რა პროცესიც დაიწყო გარკვეული პერიოდით ადრე.

***– რას მოიტანს ეს პროცესი?***

– ალბათ ეს მოიტანს ცვლილებებს ნებისმიერ შემთხვევაში. დიდი ცვლილებები არ იქნება, ცვლილებები, ცხადია, მაინც იქნება. ბაზარი მედიაში არ არის ისეთი თავისუფალი, რომ ბევრი ფუფუნება ჰქონდეს ახალ დირექტორს, რომ კადრები გაუშვას და ახლები მოიყვანოს. დღეს კარგი ანაზღაურება აქვთ იმ ჟურნალისტებს, რომელთა საქმიანობასაც საზოგადოება დადებითად აფასებს. ასე რომ, უფრო მეტად ველოდები შინაარსობრივ ცვლილებებს, ვიდრე საკადროს.

***– თუმცა ბაია გადაბაძე აცხადებს, რომ ტელეკომპანიის შენობაში არ შეუშვებენ ლევან გაჩეჩილაძეს. ასევე თანამშრომლებიც წინააღმდეგნი არიან, რომ ლევანი იყოს მათი ხელმძღვანელი. ამაზე რას იტყვით?***



– ასეთი საუბარი მიდის სიტუაციის შესაბამისად, სანამ გადაწყვეტილების მიღების პროცესია. როდესაც ეს პროცესი დასრულდება და უკვე ფაქტის წინაშე დადგებიან ჟურნალისტები, საერთოდ ვერ ვხედავ მაგ პროცესს, თუ როგორ შეიძლება მოხდეს, რომ არხის დირექტორი, ოფიციალური პირი შენობაში არ შეუშვან და ასე შემდეგ. არ მგონია, რომ ასე გართულდეს სიტუაცია. უბრალოდ, საინტერესო იქნება თვალყურის დევნება მაესტროსთვის.

***– რა თვალსაზრისით?***

– თუ როგორ, რანაირად მოხდება ის ცვლილებები, რომლებიც, დარწმუნებული ვარ, დაგეგმილია. ეს იქნება მეტად მტკივნეული იქაური ჟურნალისტებისთვის თუ ნაკლებად მტკივნეული და შინაარსის თვალსაზრისით რა იქნება ახალი. ეს საკითხები პირადად მეც მაინტერესებს და მინდა, რომ მაესტრომ თავისი თვითმყოფადი სახე არ დაკარგოს არასდროს.

რაც უფრო მეტი თვითმყოფადი ტელევიზია და მედიასაშუალება გვექნება, მით მეტად მოგებული იქნება მაყურებელი. რაც მეტად ექნება მაყურებელს საშუალება, რომ ზუსტად თავის გემოვნებას მოარგოს ის გადაცემა, რომელსაც ესა თუ ის ტელევიზია შესთავაზებს, მით უფრო ნაკლები იქნება უკმაყოფილება, რადგან ადამიანები ტელეეთერებიდან მოისმენენ იმას, რისი მოსმენაც მათ სურთ.

***– დღევანდელ მაესტროზე არ იყო ეს ყველაფერი, რაზეც თქვენ საუბრობთ?***

– რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მაესტროზე იყო. მაესტრო იყო სხვადასხვანაირი. მაესტრო იყო ისეთიც, რომელიც იყო ჩემთვის, მაგალითად, ყველაზე მეტად საინტერესო ტელევიზია. შემდეგ მაესტრო გახდა ისეთი, რომელიც პირადად ჩემთვის საინტერესო არ იყო, მაგრამ მას ჰყავდა სხვა მაყურებელი. რადგან ფინანსურად იკვეთება ტელეკომპანია იმედის და მაესტროს გზები, მე ვშიშობ და სურვილი მაქვს, რომ ეს ორი ტელევიზია არ დაემსგავსოს ერთმანეთს.

***– რამდენიმე დღის წინ გოგა ხაინდრავამ ბრალდება წაუყენა მაესტროს და განაცხადა, რომ მაესტრო რუსული ფულით არსებობს. რამდენად იყო მაესტრო რუსული ინტერესის გამტარებელი?***

– ეს ძალიან ძნელი ამბავია, რომ ადამიანს, ან ტელევიზიას დაადო ხელი, რომ შენ ხარ რუსული ინტერესების გამტარებელი. თვითონ გოგა ხაინდრავამაც ეს ვერ გააკეთა. მან განაცხადა, რომ ფულის წარმომავლობა არის რუსული. კი ბატონო, ამაში ეჭვი არავის ეპარებოდა და ეს თავიდანვე იყო ცნობილი, მაგრამ რამდენად იყო ეს ტელევიზია რუსული ინტერესების გამტარებელი, ეს რთული ამბავია.

***– რატომ ჩნდება ასეთი კითხვები?***

– არ ვიცი. ის, რომ ტელეარხზე გადის რუსული სერიალები, არ ნიშნავს იმას, რომ ტელევიზია თავის საინფორმაციო ან პოლიტიკურ გადაცემებში პირდაპირ ატარებს რუსულ ინტერესებს. ამას სჭირდება სერიოზული კვლევა.

ის, ვინც კვლევის გარეშე, პირდაპირ ხელს დაადებს ტელევიზიას და იტყვის, რომ რუსული ინტერესების გამტარებელია, ჩავთვალოთ, რომ ის არაპროფესიონალურად და არაკვალიფიციურად საუბრობს. ბოლო პერიოდში მაესტრო ჩემი პოლიტიკური გემოვნებისთვის საინტერესო აღარ იყო.

***– რატომ?***

– მე სულ ვიყავი მაესტროს მაყურებელი, მაგრამ ბოლო პერიოდში ისე მოხდა, რომ აღარ ვიყავი ამ ტელევიზიის მაყურებელი. ეს ბუნებრივი პროცესი იყო, გარკვეული მაყურებელი შეიძინა, გარკვეული დაკარგა ტელევიზიამ.

იყო მესიჯები, განსაკუთრებით ინტერაქტივში გამოტანილ კითხვარში, რომლებიც მიმაჩნდა, რომ არ იყო სწორი და კორექტული. თუმცა გუნდი მთელი დატვირთვით მუშაობდა და ის, რასაც მაესტრო აკეთებდა ბოლო პერიოდში, გარწმუნებთ, სულაც არ იყო ადვილი. იგეგმება ცვლილებები და ვნახოთ, ტელევიზია უფრო საინტერესო გახდება თუ პირიქით, უფრო უინტერესო.

***– გადაბაძე აცხადებს, რომ ეს არ არის ბრძოლა დამფუძნებლებს შორის და ეს არის ბრძოლა ხელისუფლებასა და ტელევიზიას შორის. რას ფიქრობთ თქვენ? იკვეთება ხელისუფლების ინტერესი?***

– აბსოლუტურად არაფერი ჩემთვის პირადად არ ადასტურებს ხელისუფლების ინტერესს. არ არსებობს არაფერი ხელჩასაჭიდი, რის გამოც იტყვი, რომ ეს ხელისუფლების ინტერესია. ტელევიზია არის ისეთი რამ, სადაც არაფერი იმალება. თუ ეს არის ხელისუფლების ინტერესი, ძალიან მალე გამოჩნდება მის შინაარსში. ამას ხომ ვერ დამალავენ?!

დღეს ნამდვილად არ არის ის ვითარება, რომ ხელისუფლებამ შეძლოს მონოპოლიზება ტელევიზიების და ინფორმაციის. ეს გამორიცხულია. ქარის წისქვილებთან მებრძოლს კი ეს ხელისუფლება არ ჰგავს.

# ალექსი პეტრიაშვილზე თავდასხმის ბრალდებით ბორჯომში ლევან მ. დააკავეს

## ეკა მიშველაძე: „იმედია, შემკვეთსაც დააკავებენ“

შინაგან საქმეთა სამინისტრომ თავისუფალი დემოკრატების ერთ-ერთ ლიდერ ალექსი პეტრიაშვილზე მომხდარი თავდასხმის საქმე გახსნა.

უწყებაში გუშინ, 7 მარტს, გამართულ პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ სამართალდამცავებმა აღნიშნულ ფაქტზე 1975 წელს დაბადებული ლევან მ. დააკავეს. მისი აყვანა ბორჯომში მოხდა.



გამოძიების ინფორმაციით, ბრალდებულმა, თანამზრახველთან ერთად, მიმდინარე წლის 26 თებერვალს, თბილისში, საბურთალოზე, წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ძმათა სასაფლაოზე, ალექსი პეტრიაშვილზე თავდასხმა განახორციელა.

ლევან მ-მ, თანამზრახველთან ერთად, ალექსი პეტრიაშვილს თავის არეში ჩაქუჩით დაზიანებები, ხოლო ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ჭრილობები მიაყენა, შემდეგ კი ხელკეტი რამდენჯერმე ჩაარტყა.

თავდამსხმელები მიიმალნენ.

სამართალდამცველებმა შემთხვევის ადგილთან ახლოს დანაშაულის ჩადენის იარაღი – ჩაქუჩი და ბრალდებულის ქუდი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

ქუდის შიდა ზედაპირიდან აღებული და დანაშაულის ჩადენის იარაღის – ჩაქუჩის ტარზე არსებული გენეტიკური პროფილების დნმ-ის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ისინი ლევან მ-ს გენეტიკური პროფილის იდენტურია. ასევე, ჩაქუჩზე არსებული ადამიანის სისხლის გენეტიკური პროფილის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ იგი ალექსი პეტრიაშვილის გენეტიკური პროფილის იდენტურია.

გამოძიება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილით მიმდინარეობს.

* * *

– ალბათ ეს არის მხოლოდ დასაწყისი, შესაბამისად, ველოდებით ყველა კითხვაზე პასუხს გამოძიებისგან, – ამის შესახებ ალექსი პეტრიაშვილის მეუღლე ეკა მიშველაძემ „ინტერპრესნიუსს“ ლევან მ.-ს დაკავების კომენტირებისას განუცხადა.

ეკა მიშველაძისთვის უცნობია, ვინ არის დაკავებული ლევან მ, ვისზეც შსს-ს განცხადებაშია საუბარი.

– ლევანი ჰქვია მილიონობით ადამიანს. როგორ მივხვდებით, ვინ არის, ჯერჯერობით არაფერი ვიცით. ალბათ, ეს არის მხოლოდ დასაწყისი. შესაბამისად, ველოდებით ყველა კითხვაზე პასუხს გამოძიებისგან, თუმცა არ შემიძლია არ აღვნიშნო ერთი რამ – ძალიან კარგია, რომ ასეთი წინსვლა აქვს გამოძიებას. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან დაეხმარება მას საქმის საბოლოოდ



გახსნაში და დასრულებაში.

ჩვენი მოლოდინია, რომ დაკავებული იყოს მეორე მონაწილე და, რა თქმა უნდა, გამოძიებული იყოს, რატომ მოხდა ეს ყველაფერი და თუ ჰყავს ამ საქმეს შემკვეთი, რა თქმა უნდა, შემკვეთიც უნდა იყოს დაკავებული, – აღნიშნა ეკა მიშველაძემ.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ქართული ოცნება“ — არც ერთი კვირა ახალი დაპირისპირების გარეშე!

## რესპუბლიკელები კონსტიტუციაში ქორწინების განმარტების ჩაწერას მხარს არ დაუჭერენ

შორენა მარსაგიშვილი

როგორც იქნა, დადგა ნანატრი დღე და კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ პოლიტსაბჭოს სხდომა გამართა.

ყველა ელოდა, რომ პოლიტსაბჭოზე რესპუბლიკელებს და მრეწველებს განიკითხავდნენ, თუმცა კოალიციის ლიდერებისთვის სხვა საკითხი აღმოჩნდა მნიშვნელოვანი.

როგორც ლიდერები ამტკიცებენ, შეხვედრაზე ერთადერთი საკითხი — ქორწინებასთან დაკავშირებით კონსტიტუციაში ცვლილებების თემა განიხილეს.

საქმეში ჩახედული ხალხი ამბობს, რომ ამ საკითხის განხილვას კოალიციაში ახალი დაპირისპირება მოჰყვება.

დაახლოებით ერთი წლის წინ ირაკლი ღარიბაშვილი გამოვიდა ინიციატივით, რომ კონსტიტუციაში შესულიყო ცვლილება, რომლის მიხედვითაც ჩაიწერებოდა, რომ ოჯახი არის ქალის და კაცის ერთობა.

შეხვედრის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე, პარლამენტის სპიკერმა დავით უსუფაშვილმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართა.

გოგი თოფაძის მიერ მიზანში ამოღებული თინა ხიდაშელის მეუღლის განცხადებით, ის კოალიციაში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით ბიძინა ივანიშვილს ტელეფონით ესაუბრა.

უსუფაშვილს არ დაუკონკრეტებია ბიძინა ივანიშვილთან საუბრის დეტალები. მან იმ მომენტისთვის არც ის იცოდა, შედგა თუ არა ასეთივე საუბარი გიორგი კვირიკაშვილთან — 4 მარტს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბიძინა ივანიშვილი დავით უსუფაშვილს და გიორგი კვირიკაშვილს უნდა შეხვედროდა.

მართალია, უსუფაშვილმა მედიას ივანიშვილთან საუბრის შინაარსი არ გაუმხილა, სამაგიეროდ, დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ მომავალში კოალიცია ამჟამინდელზე უკეთესი იქნება.

— მგონია, რომ ჩვენ გვაქვს კარგი კოალიცია, რომელმაც ქვეყნის ისტორიაში პირველად, ოთხი წლის განმავლობაში ერთად ყოფნა შეძლო. არა იმიტომ, რომ ერთნაირები გავხდით, არამედ იმიტომ, რომ გვქონდა პოლიტიკური პროცესების იმ ტიპის გააზრება, რაც ქვეყანას სჭირდება.

მომავალი მმართველი კოალიცია რესპუბლიკელებიანად თუ რესპუბლიკელების გარეშე, დარწმუნებული ვარ, უკეთესი იქნება — თავისი შიდა სტრუქტურითა და ფორმით. ხელისუფლება, რომელიც მომავალი არჩევნების შემდეგ ქვეყანას გაუძღვება, იქნება უკეთესი, თუ ის კოალიცია „ქართული ოცნება“ იქნება, დანარჩენზე ვერ გეტყვით, — განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტსაბჭოზე დაპირისპირების განხილვას არ აპირებდნენ, რესპუბლიკელებმა სიტუაცია მაინც დაძაბეს, შეხვედრის დაწყებამდე საგანგებო განცხადება გაავრცელეს და „ქართულ ოცნებას“ ნაწილობრივ გაემიჯნენ.

— რესპუბლიკური პარტია სრულიად ერთმნიშვნელოვნად აცხადებს, რომ საქართველოს კონსტიტუციით და კანონმდებლობით ქორწინება მხოლოდ და მხოლოდ ქალსა და მამაკაცს შორის კავშირია და ამ საკითხში ცვლილების შეტანას არც სამართლებრივად და არც პოლიტიკურად, არავინ და არაფერი გვავალდებულებს, — ვკითხულობთ მათ განცხადებაში.

ისინი მეოცნებეთა ნაწილის ინიციატივას ემიჯნებიან და თვლიან, რომ ინიცირება საფრთხეების წინაშე აყენებს საზოგადოებას.

— ჩვენი პარტია არ აპირებს, ასე წინდაუხედავად შეაბიჯოს შორსმიმავალი მიზნებით დაგებულ პოლიტიკურ მახეში. თუ რას ემსახურება ამ საკითხის წამოწევა, ვინ გულწრფელი მოტივებით ადგება არასწორ გზას და ვინ ცდილობს ამ მეტად მგრძნობიარე თემაზე სპეკულირებით პოლიტიკური დივიდენდების მიღებას, ამის გარკვევა საქართველოს მოქალაქეებისთვის მიგვინდვია.

შესაბამისად, მას შემდეგ, რაც პრაქტიკულად ამოიწურა შიდაკოალიციური კონსულტაციების რესურსი, რესპუბლიკური პარტია ადასტურებს პატივისცემას თითოეული დეპუტატის, მათ შორის ჩვენივე ფრაქციის წევრების, განსხვავებული პოზიციისადმი, მაგრამ პოლიტიკურად ემიჯნება კონსტიტუციური ცვლილების ინიცირების პროცესს, რომელსაც მოჰყვება არა საკითხის უკეთ გადაწყვეტა, არამედ საკითხის უფრო გამწვავება თანამდევი პოლიტიკური მეტასტაზებით, — ნათქვამია გავრცელებულ განცხადებაში.



რესპუბლიკელებს მხარი საპარლამენტო უმრავლესობის ყოფილმა ლიდერმა დავით საგანელიძემ აუბა.

— მე მგონი, საზოგადოება ისედაც დააბნია ბევრმა, ვისაც საერთოდ თავში აზრად გაუჩნდა, რომ, ქალისა და მამაკაცის გარდა, ოჯახი კიდევ სხვა რამეა. წესით, მე თუ მკითხავთ, უხერხულიცაა კონსტიტუციაში ამის ჩაწერა და ამის აუცილებლობა არ არის, მაგრამ თუ გარკვეული არგუმენტები იქნება, რომ გავაძლიეროთ ეს პოზიცია, რა თქმა უნდა, მე ამას დავთანხმდები, — განაცხადა სხდომაზე შესვლამდე დავით საგანელიძემ.

ზურაბ ტყემალაძის თქმით, ეს ცვლილება დეპუტატების ხმების საკმარის რაოდენობას მიიღებს.

— რაც სამოქალაქო კოდექსით არის გათვალისწინებული, უნდა გავამყაროთ კონსტიტუციით, რომ ხვალ და ზეგ ვინმეს არ მოუწიოს ამ პოზიციის შეცვლა და იყოს რთული შეცვლა, რადგან საკონსტიტუციო ცვლილებას სჭირდება უფრო დიდი კვორუმი, — განაცხადა ზურაბ ტყემალაძემ.

* * *

პოლიტსაბჭოს წევრები ვარაუდობდნენ, რომ შეხვედრა ერთ საათს გასტანდა. თუმცა ის გაცილებით ხანგრძლივი აღმოჩნდა.

— კოალიცია „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს სხდომაზე განხილულ საკითხთა შორის ერთ-ერთი უმთავრესია ინიცირება საკონსტიტუციო ცვლილებისა, რომელიც ქორწინების, როგორც ქალისა და მამაკაცის ერთობის, სამოქალაქო კოდექსში არსებული განმარტების საკონსტიტუციო დონეზე გამყარებას გულისხმობს, — განაცხადა შეხვედრის დასრულების შემდეგ კვირიკაშვილმა.

მისივე თქმით, პოლიტსაბჭომ საკონსტიტუციო ცვლილების ინიცირების პროცესის დაწყებას მხარი დაუჭირა. რესპუბლიკურმა პარტიამ დააფიქსირა განსხვავებული პოზიცია, რაც ეხება არა საკითხის შინაარსს, არამედ მისი განხორციელების გზებსა და საშუალებებს.

— ამასთანავე, საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ ცოტა ხნის წინ გააკეთა მნიშვნელოვანი განაცხადი, რომ დისკრიმინაციის ყველა ფორმის წინააღმდეგია, რაც გამყარდა კიდეც შესაბამისი კანონმდებლობის მიღებით. ჩვენ ერთხმად ვადასტურებთ კოალიციის ერთგულებას ამ პრინციპისადმი და ამავდროულად გამოვდივართ ინიციატივით, რომ ისეთი მნიშვნელოვანი ფასეულობის დაცვა, როგორიცაა ქორწინება, გარანტირებული იყოს ქვეყნის მთავარი კანონის — კონსტიტუციის დონეზე, — აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

# აიუფ ბორჩაშვილს 14 წელი, გიორგი ხუტუნიშვილს — 11, დავით ფირისებიას 10 წელი მიესაჯათ

## გიორგი კუპრავასთან საპროცესო შეთანხმება გაფორმდა

გუშინ, 7 მარტს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანა ტერორისტული დანაშაულის ჩადენისთვის ბრალდებულებს აიუფ ბორჩაშვილს, გიორგი ხუტუნიშვილს, დავით ფირისებიას და გიორგი კუპრავას.

აიუფ ბორჩაშვილს სასჯელის სახედ და ზომად 14 წლით, გიორგი ხუტუნიშვილს 11 წლით, ხოლო დავით ფირისებიას 10 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა.



ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი განაჩენების გასაჩივრებას გეგმავს

გიორგი კუპრავას მიმართ, ბრალის აღიარების საფუძველზე, სასამართლომ დაამტკიცა მხარეთა შორის მიღწეული საპროცესო შეთანხმება და მას სასჯელის სახედ და ზომად 6 წელი განესაზღვრა, საიდანაც 1 წელს სასჯელაღსრულების დეპარტამენტში მოიხდის, ხოლო 5 წელი ჩაეთვალა პირობით, 6 წლის გამოსაცდელი ვადით.

მათ ბრალად ედებოდათ უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში გაერთიანება და ტერორისტულ საქმიანობაში მისი დახმარება, ხოლო აიუფ ბორჩაშვილს აგრეთვე ტერორისტულ ორგანიზაციაში გაწევრიანებისათვის პირების გადაბირება.

* * *

საქმის მასალების თანახმად, აიუფ ბორჩაშვილი გაერთიანდა ისლამურ სახელმწიფოში. მან განიზრახა, ადამიანური რესურსებით დახმარებოდა ორგანიზაციას და სხვადასხვა საშუალების გამოყენებით გადაიბირა მასთან ერთად ბრალდებული პირები, ისლამური სახელმწიფოს ერთგულების ფიცის ე.წ „ბაიათის“ მიღების გზით და გააერთიანა ამავე ორგანიზაციაში.

მანვე ტერორისტულ საქმიანობაში მონაწილეობის მიზნით სირიაში გაგზავნა არასრულწლოვანი მუსლიმ კ. და რამზან ბ.

სამართალდამცველებმა აიუფ ბორჩაშვილი დააკავეს სოფ. გომბორში, გიორგი კუპრავა კი საკუთარ საცხოვრებელ სახლში აიყვანეს. გიორგი ხუტუნიშვილი და დავით ფირისებია დაკავებულ იქნენ 2015 წლის 14 ივნისს, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, საიდანაც ისინი ტერორისტულ საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად სირიაში მიემგზავრებოდნენ.

საქმის არსებითი განხილვა ღია სასამართლო სხდომებზე მიმდინარეობდა, გარდა საქმის იმ ნაწილისა, სადაც დაიკითხნენ კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლები.

პანკისის ხეობაში საზოგადოებრივი წესრიგის უსაფრთხოებისა და მოწმედ დასაკითხ პირთა და მათ ოჯახის წევრთა უსაფრთხოების მიზნით რამდენიმე სხდომა ნაწილობრივ დაიხურა.

საქმის არსებითი განხილვა დაიწყო 2015 წლის 10 ნოემბერს და მოცემულ საქმეზე დაიკითხნენ 37 მოწმე და თავად ბრალდებულები.

აიუფ ბორჩაშვილი, გიორგი ხუტუნიშვილი და დავით ფირისებია თავს დამნაშავედ არ ცნობდნენ წარდგენილ ბრალდებაში.

სასამართლომ მხარეთა მონაწილეობით გამოკვლეულ მტკიცებულებათა საფუძველზე ბრალდებულები დამნაშავედ ცნო მათ მიმართ ბრალად შერაცხული დანაშაულის ჩადენაში, ხოლო დავით ფირისებიასა და გიორგი ხუტუნიშვილის მიმართ წარდგენილი ბრალი ტერორისტულ საქმიანობაში მათი დახმარების ნაწილში არ დადასტურდა.

— სასამართლოს განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში, გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, — ნათქვამია საქალაქო სასამართლოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში

* * *

— აიუფ ბორჩაშვილის მიმართ გარკვეული მტკიცებულებები არსებობდა, თუმცა ვთვლით, რომ საკმარისი არ იყო გამამტყუნებელი განაჩენისთვის, — განაცხადა ბრალდებულთა ადვოკატმა გელა ნიკოლაიშვილმა.

მისი თქმით, ფირისებიასა და ხუტუნიშვილისგან განსხვავებით აიუფ ბორჩაშვილის მიმართ მოსამართლეს მეტი საფუძველი ჰქონდა, რათა გამამტყუნებელი განაჩენი დაეყენებინა.

— თუმცა გამამტყუნებელი განაჩენი მხოლოდ გაერთიანების ნაწილში უნდა დამდგარიყო, იქიდან გამომდინარე, რომ ნამდვილად იყო სირიაში, ნამდვილად შეხვდა თარხან ბათირაშვილს, რასაც არ უარყოფდა, თუმცა ის უარყოფდა იმას, რომ იყო ტერორისტული ორგანიზაციის, ან ისლამური სახელმწიფოს წარმომადგენელი. რაც შეეხება გაგზავნის ნაწილს, ამ შემთხვევაშიც არანაირი საფუძველი არ არსებობდა გამამტყუნებელი განაჩენისთვის, — განაცხადა ნიკოლაიშვილმა.

მისი აზრით, ხუტუნიშვილისა და ფირისებიას განაჩენი სრულიად უკანონოა, რადგან ბრალდების დამადასტურებელი მტკიცებულება არ არსებობდა.

— არ არსებობს ერთი მტკიცებულებაც კი, რომელიც მიუთითებს, რომ ამ ადამიანებმა ჩაიდინეს დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 328-ე მუხლით (ტერორისტულ ორგანიზაციაში გაერთიანება და დახმარება). დახმარების ნაწილი მოსამართლემ მოუხსნა და დარჩა მხოლოდ გაერთიანება, ანუ მათ მიიღეს ფიცი, რომლის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ ირიბი ჩვენებებით არსებობდა. არც ხუტუნიშვილს, არც ფირისებიას და არც თავად ბორჩაშვილს ეს არ დაუდასტურებიათ. მხოლოდ ფიცის მიღების გამო ჩათვალეს, რომ ტერორისტულ ორგანიზაციაში გაწევრიანდნენ, — განაცხადა ნიკოლაიშვილმა.

დაცვის მხარე თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენებით სააპელაციო წესით გასაჩივრებას გეგმავს.

* * *

გუშინვე პროკურატურამ სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ მთავარი პროკურატურიდან აცნობეს, ბრალდების მხარე გიორგი ხუტუნიშვილისთვის და დავით ფირისებიასთვის ბრალდების ნაწილობრივ მოხსნასთან დაკავშირებით განაჩენის გასაჩივრების საკითხზე მას შემდეგ იმსჯელებს, რაც განაჩენს ჩაიბარებს.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# გიგი წერეთელი: „ეს ხელისუფლება შემოდგომაზე შეიცვლება“

## მოხდება თუ არა ოპოზიციის გაერთიანება

შორენა მარსაგიშვილი

განიცადა თუ არა ნაციონალურმა მოძრაობამ საბოლოო კრახი, რა ფორმით აპირებენ ოპოზიციური ძალები თანამშრომლობას, ვინ დაახევინა ხელისუფლებას უკან? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი **გიგი წერეთელი** ესაუბრება.

***– 6 მარტს თქვენი პარტიის მიერ გამართულ საპროტესტო აქციას „ქართული ოცნების“ წევრები ნაცმოძრაობის კრახად აფასებენ. ამბობენ, რომ ხალხის გამოყვანა საერთოდ ვერ შეძელით. თქვენ რას იტყვით ამასთან დაკავშირებით, იმედგაცრუებულები ხართ?***

– კრახი განიცადესო? ვაიმე. „ქართული ოცნების“ წევრთა რეაქციები ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ მათ ჩვენი აქცია მწარედ მოხვდათ გულზე. ეს აქცია რუსული გაზპრომის წინააღმდეგ იყო მიმართული და ცალკე საუბრის თემაა, რატომ უნდა მოხვდეს გულზე ასეთი აქცია პროდასავლურ ძალას.

ნამდვილად არ მინდა ბავშვურ დავაში შევიდე, თუ რამდენი ადამიანი მონაწილეობდა ჩვენს აქციაში, ოპონენტებისთვის უბრალო განმარტებას გავაკეთებ, ეს იყო აქცია ჯაჭვი. ჯაჭვი ნიშნავს იმას, რომ კონკრეტულ მარშრუტზე ადამიანები დგებიან მწკრივში. რამდენი ადამიანი მონაწილეობს ჯაჭვში, ამის დათვლა ძალიან მარტივია. ამ ღონისძიებაში რამდენიმე ათასი ადამიანი მონაწილეობდა და ჩვენ მას წარმატებულად მივიჩნევთ.

ხელისუფლებას ურჩევნია, ჩვენზე დეზინფორმაციის გავრცელებას შეეშვას და საკუთარ გუნდში არსებულ პრობლემებს მიხედოს. საინტერესო იქნებოდა იმისი ნახვაც, თუ რამდენი ადამიანის გამოყვანას შეძლებენ ახლა. ისიც აგვიხსნან, რატომ აწარმოებდა თვეების მანძილზე რუსეთთან ფარულ მოლაპარაკებებს.

***– მართალია, ხელისუფლებამ გაზპრომთან ფარულად დაიწყო მოლაპარაკებები, მაგრამ ბოლოს მაინც დაიხია უკან. თქვენი აზრით, რატომ შეცვალა ხელისუფლებამ პოზიცია? მარტო თქვენი ჯაჭვის შიშით ამას არ გააკეთებდნენ.***

– ეს პირველ რიგში საზოგადოების აქტიურობის შედეგია. ასევე მნიშვნელოვანია ის პოზიცია, რომელიც აზერბაიჯანულმა მხარემ დაიკავა. აზერბაიჯანის პრეზიდენტმა და სოკარის ხელმძღვანელობამ იმდენად მისაღები პირობები შემოგვთავაზეს, რომ ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის თქმა აღარ შეიძლებოდა.

ხელისუფლება ისევ გაზპრომისკენ რომ წასულიყო, ძალიან ბევრ კითხვის ნიშანს გააჩენდა, „ქართულ ოცნებაში“ ვიღაცამ ჭკუა იხმარა და სწორი



გადაწყვეტილება მიიღო. თორემ მათ სხვა რამე ჰქონდათ გეგმაში.

***– რა გეგმაზე საუბრობთ?***

– გაზპრომის წინადადებაზე დათანხმება ვიღაცების ინტერესებში შედიოდა. ოღონდ ახლა იმაზე არ დავიწყებ საუბარს, ამაში რომელი კომპანიები ჩაერთვებოდნენ და ვინ რა სარგებელს მიიღებდა.

***– გაზპრომთან შეთანხმება წლის ბოლომდე არ გადაიხედება. რა მოხდება წლის ბოლოს?***

– შემოდგომაზე საქართველოში საპარლამენტო არჩევნები ტარდება. შესაბამისად, წლის ბოლოსთვის საქართველოს ახალი ხელისუფლება ეყოლება. გაზპრომთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებასაც ახალი ძალა მიიღებს.

***– ხელისუფლებაში ახალი ძალა მოვაო და მხედველობაში რომელი პარტია გყავთ?***

– იქიდან გამომდინარე, რომ „ქართულმა ოცნებამ“ მოსახლეობას იმედები გაუცრუა, ოპოზიციას აქვს ძალიან დიდი შანსი, მოიგოს ეს არჩევნები. მე არ ვიცი, როგორი კონფიგურაცია იქნება მომავალ პარლამენტში. ყველა ოპოზიციური ძალა თვლის, რომ არჩევნებს მოიგებს ის. ამ მხრივ არც ნაციონალური მოძრაობა ვართ გამონაკლისი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენ ყველაზე ძლიერი ძალა ვართ, არჩევნების მოგების ყველაზე დიდი შანსიც ჩვენ გვაქვს.

***– ოპოზიციას აქვს შანსი მოიგოს არჩევნებიო და ამ მიზნის მისაღწევად ოპოზიციური ძალები ხომ არ აპირებთ გაერთიანებას?***

– დღეის მდგომარეობით არავისთან არ ვაპირებთ ალიანსის შექმნას. ეს ალბათ არც სამომავლოდ დადგება დღის წესრიგში, რადგან ნაციონალური მოძრაობა გახლავთ ძლიერი პარტია და მთავარი ოპოზიციური ძალა.

***– და ამის გამო ამბობთ უარს ვინმესთან ალიანსში შესვლაზე?***

– ალიანსების შექმნა უფრო მისაღებია არჩევნების შემდეგ. თუ პარტიებს იდეური შეუთავსებლობა აქვთ, მხოლოდ ხელისუფლების შესაცვლელად კოალიციის შექმნა მიზანშეწონილი არ არის. ასეთი გაერთიანებები დიდი სიმყარით არ გამოირჩევა. არჩევნებამდე რამდენიმე თვეა, შეიძლება რამე მოხდეს, მაგრამ ჯერ ცალკე ვართ და ცალკე ვაპირებთ ბრძოლას.

***– ჩვენი პარტია არის ძლიერიო, ამბობთ და ამ სიძლიერეს გუნდში არსებული დაპირისპირება ხელს არ უშლის?***

– ხელს როგორ არ უშლის, მაგრამ არ არსებობს დიდი პოლიტიკური გაერთიანებები, სადაც ასეთ დაპირისპირებებს არ აქვს ადგილი. ჩვენს რიგებში არსებულ უთანხმოებაზე არაერთი ჭორიც გაავრცელეს. ამის გარდა, მთელი ამ წლების მანძილზე მიდიოდა სერიოზული მუშაობა იმაზე, რომ ნაციონალური მოძრაობა დაშლილიყო. ჩვენი რამდენიმე ლიდერი ამიტომაც გამოამწყვდიეს ციხეში. პარტიის წევრების დაშინება მიდიოდა. ათასობით ადამიანი პოლიტიკური ნიშნით გაუშვეს სამსახურებიდან.

ყველაზე აღმაშფოთებელი იყო ის, რომ ჩვენს განადგურებაზე მითითებები ღიად კეთდებოდა. ამას აკეთებდნენ ბიძინა ივანიშვილი, ირაკლი ღარიბაშვილი, სხვა მინისტრები. ისინი პირდაპირ აცხადებდნენ, რომ ხელისუფლების მთავარი ამოცანა ნაციონალური მოძრაობის განადგურებაა.

ბევრს ეცადნენ, მაგრამ ჩვენი რადარებიდან გაქრობა ვერ მოახერხეს. 2012 წლის შემდეგ ჩატარებული არჩევნებიდან ჩანს, რომ ყველა შემდეგ არჩევნებზე ჩვენი პარტია უფრო მეტ მხარდაჭერას იღებს. ეს ტრადიცია გაგრძელდება.

***– გუნდში არსებული დაპირისპირება ხელს არ შეგიშლით ტრადიციის გაგრძელებაში?***

– სერიოზულ დაპირისპირებამდე საქმე არ მისულა. რაც ხდება, ბუნებრივია. ვიღაცამ თავის რეალიზაცია ვერ მოახერხა და პარტიიდან წავიდა. ეს ჩვენს პარტიას ზარალს არ აყენებს. ეს 6 მარტს გამართული აქციიდანაც კარგად გამოჩნდა. აქციები კიდევ იქნება და ხელისუფლება კიდევ დაინახავს, რას წარმოადგენს ნაციონალური მოძრაობა.

***– სერიოზული დაპირისპირება არ არისო და პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, აწ უკვე ყოფილი ნაციონალი ანდრო ბარნოვი მარაზმატულ ძალად რომ მოგიხსენიებთ, ეს არაფერს ნიშნავს?***

– ადამიანების სულიერი მდგომარეობა ტრავმატიზაციის ხარისხთან სხვადასხვაა. მე არ შემიძლია განვსაჯო ანდრო ბარნოვი. შესაძლოა, ის კონკრეტულ საკითხზეა გაბრაზებული და ამიტომ მასთან პოლემიკაში არ შევალ. იმას კი ვიტყვი, რომ ასეთი შეფასებები არ უნდა გაკეთდეს, რადგან ეს მორალის საკითხია. პარტიიდან ყველას შეუძლია წასვლა, მაგრამ ეს ღირსეულად უნდა მოხდეს. ყოფილი თანაპარტიელების ლანძღვა ლამაზი არ არის.

ნაციონალური მოძრაობიდან სხვებიც წავიდნენ. ზოგს ფინანსური ინტერესი ჰქონდა, ზოგს – პოლიტიკური. მე არ ვიცი, ვინ და რატომ წავიდა. არავისთვის შეურაცხყოფა არ მიმიყენებია და ძალიან მწყდება გული, როცა ჩვენი ყოფილი თანაპარტიელები ამაზე მიდიან.

***– ზემოთ თქვით, ხელისუფლება ცდილობდა, გავენადგურებინეთო. წარსულ დროში საუბრობთ და რა ხდება, შეგეშვათ „ქართული ოცნება“ თუ რაღაც სხვა ამბავია?***

– ჩვენ ამ შემთხვევაში 3 წლიან ისტორიაზე ვსაუბრობთ. როგორც ისინი საუბრობენ ჩვენს 9 წელზე, ასე ვსაუბრობთ მათ 3 წელზე. ამასობაში უკვე მეოთხეც დაიწყო. ჩვენზე ზეწოლის ფაქტებმა ბოლო ხანებში ნამდვილად იკლო.

***– ეს რისი ბრალია, თქვენთვის აღარ სცხელათ?***

– თავადაც სერიოზული პრობლემები აქვთ შიგნით, მაგრამ მთავარი მიზეზი ეს არ არის. ნაციონალური მოძრაობის დევნამ სერიოზული საერთაშორისო გამოხმაურება ჰპოვა, რამაც ქვეყანა უკან დასწია. ოპოზიციასთან ბრძოლას არავის მოუწონებენ. ჩვენი დასავლელი პარტნიორები ამის გამო ხშირად აკრიტიკებენ „ქართულ ოცნებას“. ისინი ხელისუფლებას ურჩევენ, მომავალზე იფიქრონ და ოპოზიციასთან თანამშრომლობის გზები მონახონ.

ჩვენთან ბრძოლა მათ პროდასავლურობასაც ეჭვქვეშ აყენებდა. წარმოუდგენელია, პროდასავლური ხელისუფლება პროდასავლურ ოპოზიციურ ძალას ებრძოდეს, ამით „ქართული ოცნება“ მხოლოდ რუსეთის სიმპათიას თუ დაიმსახურებს.

ხელისუფლებაში ვიღაცებიც მიხვდნენ, რომ ჩვენთან ბრძოლამ შედეგი არ გამოიღო. არასტაბილური გარემო ინვესტორების შემოსვლასაც უშლის ხელს. მათ სიმშვიდე და სტაბილურობა სჭირდებათ. „ქართულმა ოცნებამ“ ეს ვერ გაიაზრა და წლები ჩვენთან ბრძოლას გადააყოლა.

***– ინვესტიციების მოზიდვაში ხელის შეშლაში ხელისუფლება ნაციონალურ მოძრაობას ადანაშაულებს. ამბობს, რომ თქვენ მოუწოდებთ მათ, საქართველოში არ ჩადონ ფული.***

– ყველაფერი ხომ ჩვენი ბრალი იყო და რა გასაკვირია, რომ ამასაც დაგვაბრალებდნენ, ჩვენ ბევრი შეცდომა და გადაცდომა გვქონდა, მაგრამ ბევრი კარგი საქმეც გვაქვს გაკეთებული. ამათ ვერაფერი გააკეთეს, თავს დღემდე იმით იმართლებენ, ნაციონალები გვიშლიან ყველაფერში ხელსო. არადა, გამართული ქვეყანა ჩავაბარეთ.

***– თავად ამბობენ, რომ თქვენგან უმძიმესი მემკვიდრეობა ერგოთ.***

– ეს ხომ სასაცილოა. მათ მიიღეს ეკონომიკურად გამართული, სახელმწიფო ინსტიტუტების და დემოკრატიის თვალსაზრისით ყველაზე წინ წასული ქვეყანა. იმის მაგივრად, რომ ეს კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აეყვანათ, ყველაფერი უკან წაიყვანეს. ამასთან შეგუება ძალიან რთულია. აქედან გამომდინარე, ხელისუფლებამ სრულად ამოწურა ხალხის ნდობა და მისი შეცვლა გარდაუვალია.

ეს თავადაც იციან და ამიტომაც ამბობენ უარს საარჩევნო კოდექსის შეცვლაზე. ახლა იმ სისტემას იცავენ გაშმაგებით, რომელსაც ოპოზიციაში ყოფნისას ასევე გაშმაგებით ებრძოდნენ. გრძნობენ, რომ არ აქვთ კარგად საქმე და ყველა ბერკეტის გამოყენებას ცდილობენ. არ ვიცი, რაზე შეიძლება წაუცდეთ ხელი, მაგრამ ეს ქვეყნისთვის ცუდად დასრულდება.

***– რას გულისხმობთ, არჩევნებს გააყალბებენ და ამას არეულობა მოჰყვება?***

– არაფერს არ ვამბობ არც არეულობაზე და არც ხალხის გაბრაზებაზე. არჩევნებზე თუ რამე მოხდა, საგარეო იმიჯის თვალსაზრისით წააგებს ქვეყანა, რაც დღეს საქართველოს არაფერში სჭირდება. ახლა კარგი ქულები უნდა ავიღოთ, რათა მაქსიმალურად დავშორდეთ რუსულ გავლენას და ვიაროთ დასავლეთისკენ, სადაც გაცილებით მაღალი სტანდარტია ცხოვრების.

ამიტომ ყველანი კარგად უნდა დავფიქრდეთ არჩევნების წინ. მისი მოგების იმედი ყველა პარტიას აქვს. შანსები ოპოზიციისკენ არის. კარგი იქნება, თუ ისინი ამ შანსის გამოყენებაზე იფიქრებენ და ხელისუფლების თამაშით თამაშს თავს დაანებებენ.

***– ვინ თამაშობს ხელისუფლების თამაშს?***

– ის ოპოზიციური ძალები, რომლებიც, ხელისუფლების კრიტიკის ნაცვლად, ისევ ყველაფერში ნაციონალურ მოძრაობას ადანაშაულებენ.

# გია ცაგარეიშვილი: „ჩვენ თინა ხიდაშელზე მეტი თავმოყვარეობა გვაქვს“

## „კვირიკაშვილი პოლიტიკაში ახალბედაა“

ნათია ხურცილავა

თავისუფალი დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი გია ცაგარეიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ პარალელის გავლება თავის დროზე თავისუფალი დემოკრატების მიერ კოალიციის დატოვებასა და რესპუბლიკელების ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს შორის უადგილოა.

**გია ცაგარეიშვილი:**

– მმართველ კოალიციაში მიმდინარე პროცესები აუცილებლად იქონიებს არჩევნებზე გავლენას. საზოგადოება ხედავს, როგორ არის კოალიცია დეზორიენტირებული, დაქსაქსული. მეტიც, ერთმანეთთან დაპირისპირებულნი არიან. მათ არ აქვთ წარმოდგენილი, რამხელა ტვირთი აქვთ აღებული საზოგადოების წინაშე, რომ ისინი ქვეყანას მართავენ და არა – მხოლოდ საკუთარ თავს. ზოგიერთებს კოალიციაში არ აქვთ გაცნობიერებული, რომ ხელისუფლებაში არიან და არა – ოპოზიციაში.

***– ასეთი შთაბეჭდილება საიდან გრჩებათ?***

– მათივე ქცევიდან და მათივე განცხადებებიდან. გამალებული ბრძოლა მიმდინარეობს მზის ქვეშ ადგილის მოპოვებისთვის. ეს აზიანებს ქვეყნის ინტერესებს. როგორც ჩანს, ჩვენთან საარჩევნო ციკლი არა 4 წლიანი, არამედ 3 წლიანია და შემდეგ დარჩენილი ერთი წელი ცხვირ-პირის მტვრევას სჭირდება ხოლმე. როდესაც ასეთი დაუნდობელი ბრძოლა მიდის გუნდის შიგნით, ჩნდება კითხვა, ვის რაში სჭირდება ეს? ეს ბრძოლა მათ თავიანთი ადგილის დამკვიდრებისთვის სჭირდებათ და სხვა არაფრისთვის. ამიტომ საზოგადოება მათზე ხელს ჩაიქნევს და ზურგს აქცევს.

***– თქვენ ამბობთ, რომ ეს პროცესი არჩევნებზე იქონიებს გავლენას?***

– რასაკვირველია, იქონიებს. დარწმუნებული ვარ, არჩევნებზე მივიღებთ ისეთ შედეგს, რომლის დადგომაზეც დღეს კოალიციაში არავინ ფიქრობს. მათ ჰგონიათ, რომ რადგან ბიძინა ივანიშვილის საფარქვეშ არიან თავმოყრილები, ეს გადაარჩენს კოალიციას, ფონს გაიყვანს მათ და საკონსტიტუციო უმრავლესობას თუ არა, 76 მანდატს მოაპოვებინებს, რაც უმრავლესობის მოპოვებისთვის არის საჭირო.

***– რამდენად შეიძლება პარალელი გავავლოთ თავისუფალი დემოკრატების კოალიციიდან გასვლასა და რესპუბლიკელების ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს შორის?***

– ეს პარალელი სრულიად უადგილო მგონია ამ შემთხვევაში.

***– თინა ხიდაშელმა თქვა, ირაკლი ალასანიასა და თავისუფალ დემოკრატებს ნერვებმა უმტყუნაო, რასაც ალასანიას პასუხი მოჰყვა.***

– ჩვენ ნერვებიც გვეყო და ხიდაშელზე, მის მეგობრებზე მეტად თავმოყვარეობის გაცხოველებული გრძნობაც გვაქვს. არა ავადმყოფური პატივმოყვარეობის, არამედ თავმოყვარეობის. როდესაც თავმოყვარეობას შეგილახავენ, იქ არც პოლიტიკაზე არის საუბარი და არც სხვა რაღაცებზე. ეტყობა, ქალბატონი თინასთვის სხვაგან გადის ზღვარი პოლიტიკასა და მორალს შორის. ჩემთვის, ირაკლი ალასანიასთვის, ზურაბ აბაშიძისთვის და სხვა უამრავი თავისუფალი დემოკრატისთვის ცოტა სხვაგან გადის ეს ზღვარი და ამიტომაც აღარ ვართ უმრავლესობაში.



***– თქვენ იქ იყავით.***

– მაგრამ ჩვენ შეგნებული არჩევანი გავაკეთეთ. ვიცოდით, რომ ეს არ იყო ია-ვარდებით მოფენილი გზა, მაგრამ უპირველეს ყოვლისა ღირსება უნდა იდგეს, ღირსეული პოლიტიკაც აქედან მოდის. თუ ღირსება არ გაქვს, მაშინ მედროვე ხარ, მედროვეებს კი რა გამოლევს ამ ქვეყანაში.

***– ბატონო გია, კოალიცია შეიძლება დაიშალოს, შეიძლება საარჩევნოდ სხვა ფორმატი შეიქმნას? პრემიერმა სათუოდ ახსენა ეს თემა.***

– არაფერს გამოვრიცხავ. როგორც ჩანს. ბატონმა კვირიკაშვილმა ვერაფრით დააოკა ის საზოგადოება, რომელიც კოალიციაშია თავმოყრილი. ზოგ მათგანს ისეთი ამბიციები აქვს, რომ მმართველ პარტიას კარნახობს, თუ რა უნდა გააკეთოს და ვინ უნდა იყოს. გიორგი კვირიკაშვილი ახალბედაა ქართულ პოლიტიკაში, არ ვიცი, რამდენი ხანი დასჭირდება, რომ პარტიულ კულუარებში კარგად გაერკვეს, მაგრამ ამას ძვირფასი დრო მიაქვს, რომელიც ჩვენი ქვეყნის წინსვლას უნდა მოხმარდეს და არა – პარტიულ კინკლაობას.

დღეს იმის ნაცვლად, რომ პრემიერმა იფიქროს იმაზე, რა უშველოს ქვეყანაში შექმნილ პრობლემებს, მრეწველებისა და რესპუბლიკელების გაშველებითაა დაკავებული. ამ დროს კი გამშველებელს ყველაზე მეტი ხვდება.

პრემიერი ყოველ მთავრობის სხდომას იწყებს იმაზე საუბრით, სახელმწიფო მოხელის კულტურა როგორი მაღალზნეობრივი უნდა იყოს, რომ არ შეიძლება კოალიციაში შემავალი პარტიის ლიდერებმა ერთმანეთს მუშტი მოუღერონ, შეურაცხყოფა მიაყენონ ერთმანეთს და ა.შ. მაგრამ თუ ვერაფერს გააწყობს, კოალიციის დაშლა არ არის გამორიცხული და ამაში ტრაგედიას ვერ ვხედავ. კოალიციის ხელოვნურად შენარჩუნებას მისი დაშლა სჯობს, რადგან ასეთი ხელოვნური კოალიციები ქვეყნის დემოკრატიული განვითარების მუხრუჭია.

# გიგა ბუკია: „რუსეთი ოკუპანტია, მაგრამ მასთან დიალოგი საჭიროა“

## „არანაირი ორმხრივი ორპარტიული შეთანხმება ბუნებაში არ არსებობს“

მარიამ მჭედლიშვილი

საზოგადოება ისევ გაურკვევლობაშია რესპუბლიკური პარტიის ლიდერების განცხადებების გამო. რესპუბლიკური პარტია აცხადებს, რომ გააფორმებს ორმხრივ სტრატეგიულ შეთანხმებას პარტია „ქართულ ოცნებასთან“. პარლამენტის უმრავლესობის წევრი, ფრაქცია „კონსერვატორების“ თავმჯდომარე გიგა ბუკია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აღნიშნავს, რომ შეთანხმება შედგება კოალიცია „ქართული ოცნების“ ყველა სუბიექტს შორის.

**გიგა ბუკია:**

– ორმხრივ პარტიულ შეთანხმებაზე ვერაფერს ვიტყვი. ჩვენი გაერთიანება რამდენიმე სუბიექტისგან შედგება. თუ შეთანხმებაა, მასში ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა. პრემიერმა და უმრავლესობის ლიდერმაც განაცხადეს, რომ ორმხრივი შეთანხმება ბუნებაში არ არსებობს.

***– ჯერ არ არსებობს.***

– ჩვენი, ანუ კოალიციის სუბიექტების მონაწილეობით შეიქმნება დოკუმენტი, რომელშიც კოალიციის საქმიანობა იქნება დეტალიზებული და რეგლამენტირებული. არანაირი ორმხრივი შეთანხმება არ იგეგმება.

***– რესპუბლიკელების ამ ინიციატივას წინ უძღოდა მათი დაპირისპირება მრეწველებთან.***

– ეს ძალიან სამწუხარო ფაქტი იყო. ამან დააზიანა კოალიციაც და ქვეყანაც. არც ადრე დამიმალავს, რომ კოალიციაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ამა თუ იმ საკითხზე. ეს გასაკვირიც არაა, თუმცა, ჩვენ ამ საკითხებზე შიგნით ვკამათობთ, შემდეგ კი შეჯერებული პოზიციით გამოვდივართ საზოგადოების წინაშე. ჩვენი კამათი სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებაში არ გადადის. ის, რაც ბოლო დროს მოხდა, ყოველგვარ ჩარჩოებს გასცდა. ამან ზიანის მეტი არაფერი მოიტანა.

***– მომავალში რა იქნება?***

– ინციდენტი ამოწურულია. იმედია, ეს სამწუხარო ამბები გაკვეთილი იქნება ყველასთვის. ეს იქნება იმის საწინდარი, რომ პრეტენზიები შიგნით განიხილებოდეს და არა – ფართო საზოგადოების წინაშე.

***– მთავრობაში თუ იგეგმება ცვლილებები?***

– რამდენიმე დღის წინ პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, თუ კინკლაობას ბოლო არ მოეღება, იძულებული ვიქნები, საკადრო ცვლილებები გავატაროო. ხვალ და ზეგ რა იქნება, არ ვიცი. დღეისთვის კი ამის საჭიროება არ არის. ინციდენტი ამოწურულია.

***– მთავრობაში მოსალოდნელ ცვლილებებზე ჯერ კიდევ მაშინ გაკეთდა განცხადება, როცა გიორგი კვირიკაშვილი პრემიერის პოსტზე მტკიცდებოდა.***



– გიორგი კვირიკაშვილი პრემიერიცაა და კოალიციის ლიდერიც. ჩვენ მას დამტკიცებისას ნდობა გამოვუცხადეთ. აქედან გამომდინარე, კონსერვატორები მივიჩნევთ, რომ საკადრო გადაწყვეტილებები გიორგი კვირიკაშვილის მისაღებია. ჩვენ მთელი მთავრობის მუშაობას დადებითად ვაფასებთ. ჩვენზე მეტად მთავრობის საქმიანობაში პრემიერია ჩართული.

***– გავრცელებული ინფორმაციით, აბაშიძე-კარასინის კონსულტაციებზე მომავალ კვირაში უნდა განიხილონ საქართველოსა და რუსეთის პირველი პირების შეხვედრის საკითხი.***

– ამაზე ზუსტად ძნელია რაიმეს თქმა. საერთოდ, ჩვენს ხელისუფლებას საგარეო ურთიერთობებში დიპლომატიური გზა აქვს არჩეული. ესაა დაბალანსების გზა. ამის გამო ოპონენტები, მაგალითად, ნაციონალური მოძრაობა, რას აღარ გვიგონებს. ნაცმოძრაობამ დაამტკიცა, რომ არ ახარებს ქვეყნის წარმატებები.

***– მაგალითად?***

– საგარეო წარმატება ბევრი გვაქვს – ევროკავშირთან თანამშრომლობის გაღრმავებით დაწყებული, ჩინეთთან, ირანთან და ჩვენს მეზობლებთან ურთიერთობით დამთავრებული. აბაშიძე-კარასინის შეხვედრების შედეგად რუსეთთან მოხერხდა სავაჭრო კავშირების აღდგენა.

ნაციონალური მოძრაობა ყველაფერს აკეთებდა ქვეყნის პრესტიჟის დასაქვეითებლად, მაგრამ, საბოლოოდ, არაფერი გამოუვიდა. რუსეთი ოკუპანტია, მაგრამ ქვეყნისთვის საჭიროა, რომ მასთან დიალოგი გვქონდეს. პირველი პირების შეხვედრას მომზადება სჭირდება. უნდა განისაზღვროს ფორმატი. ერთი რამ შემიძლია ვთქვა – ეს დიალოგი არ იქნება უპირობო. რუსეთთან დიალოგი აუცილებლად დაეფუძნება საქართველოს ინტერესებს.

# თეა წულუკიანი: „პაპუაშვილისთვის რაც მქონდა გამოსაქვეყნებელი, უკვე გამოვუქვეყნე — ეს მისი ორიანებია“



იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის განცხადებით, მას საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის, გიორგი პაპუაშვილი წინააღმდეგ არანაირი დოკუმენტაცია არ გააჩნია გარდა მისი საკონკურსო ქულებისა, რომელიც უკვე გაასაჯაროა.

შესაბამისი კომენტარი იუსტიციის მინისტრმა ჟურნალისტებთან საუბარში გუშინ სამეგრელოში გააკეთა, რითაც პაპუაშვილის ბრალდებებს გამოეხმაურა იმის თაობაზე, რომ თეა წულუკიანი მის წინააღმდეგ პირადი ცხოვრების ამსახველი მასალების გამოქვეყნებას გეგმავს.

**თეა წულუკიანი:**

– ბატონი პაპუაშვილისთვის რაც მქონდა გამოსაქვეყნებელი, უკვე გამოვუქვეყნე – ეს გახლავთ მისი ორიანები. მეტი დოკუმენტაცია არ მაქვს და არ აქვს არც ხელისუფლების რომელიმე წევრს. მას როგორც ჩანს, აწუხებს წარსულის აჩრდილები – თუ მას წინა ხელისუფლების დროს ვინმემ რამე ჩაუწერა, თუ მას კიევიდან, ოდესიდან ვინმე აშანტაჟებს და ალაპარაკებს, ეს სერიოზული თემა იქნებოდა.

რაც შეეხება ჩვენს ხელისუფლებას, ერთადერთი გვქონდა საკონკურსო ქულები, რომლებიც მისთვის სახარბიელო არ იყო, მაგრამ ყველა ღირსეულად უნდა შეხვდეს საკუთარ მარცხს. რაც შეეხება მოთხოვნებს, მაქვს მის მიმართ ორი მოთხოვნა – უნდა აუხსნას საზოგადოებას, როგორ მიიღო მაშინდელი აღმასრულებელი ხელმძღვანელისგან 1.000 ლარად ძვირადღირებული ქონება, რა გააკეთა მან ამ ქონების სანაცვლოდ, იყო თუ არა ეს მოსამართლის დამოუკიდებლობის პრინციპებთან შესაბამისი საქციელი და განიცდის თუ არა დისკომფორტს, როცა სამი მცირეწლოვანი ბავშვის საცხოვრებელ სახლში ცხოვრობს საკუთარ ოჯახთან ერთად.

მე თუ მკითხავთ, ის არათუ სტრასბურგის, არამედ იმ პოზიციის შესაბამისიც არ არის, რომელზეც ახლა იმყოფება. მე მესმის, რომ დამარცხდა, რომ სტრასბურგში ვერ იქნება მოსამართლე, რომ სექტემბერში თანამდებობის ვადაც ეწურება, თუმცა ეს იყო კონკურსი და ამ კონკურსში ის დამარცხდა, რაც არ აძლევს უფლებას, სხვას ესროლოს ტალახი.

**ინტერპრესნიუსი**

# მანანა კობახიძე: „პაპუაშვილმა წულუკიანის წინააღმდეგ მტკიცებულებები საგამოძიებო ორგანოში უნდა წარადგინოს“

– საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ასეთი ტიპის განცხადებას არ უნდა აკეთებდეს თუ ხელთ არ აქვს კონკრეტული მტკიცებულება, – ასე ეხმაურება პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის, გიორგი პაპუაშვილის განცხადებას იმის შესახებ, რომ იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი მისი პირადი ცხოვრების ამსახველი მასალის გამოქვეყნებას გეგმავს.



როგორც კობახიძემ აღნიშნულ საკითხზე კომენტირებისას ჟურნალისტებს განუცხადა, მტკიცებულებების გარეშე ამ ტიპის განცხადების გაკეთება შეიძლება იყოს იუსტიციის მინისტრის დისკრედიტაციის მცდელობა.

**მანანა კობახიძე:**

– მე მგონია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ასეთი ტიპის განცხადებებს არ უნდა აკეთებდეს, თუ ხელთ არა აქვს უტყუარი მტკიცებულება, ფაქტები, რომელსაც ის წარუდგენს საგამოძიებო ორგანოს.

ნებისმიერი ასეთი განცხადება იქნება უბრალოდ განცხადება, ვინაიდან გამოძიება ვერ წავა შორს, თუკი კონკრეტული მტკიცებულებები და ძალიან დასაბუთებული არგუმენტები არ იქნება წარდგენილი.

სხვა შემთხვევაში, ჩვენ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს არის პირდაპირი, სწორედ იუსტიციის მინისტრის დისკრედიტაციის მიზნით გაკეთებული განცხადება.

სამწუხაროდ, ძალიან ხშირად, ჩვენ ვისმენთ ისეთ განცხადებებს, რომლის იქით რაიმე მტკიცებულებას ვერ ვხედავთ. მან უნდა წარადგინოს კონკრეტული მტკიცებულებები და უნდა დაეხმაროს გამოძიებას.

**ინტერპრესნიუსი**

# შსს-მ ქუთაისში მომხდარი აფეთქების ფაქტზე გამოძიება დაიწყო



შინაგან საქმეთა სამინისტრომ ქუთაისში, ავანგარდის დასახლებაში მდებარე სარიტუალო დარბაზში მომხდარი აფეთქების ფაქტზე გამოძიება დაიწყო.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 124-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანებას, რომელიც გამოწვეულია გაუფრთხილებლობით.

უწყების განმარტებით, აფეთქების შედეგად 3 ადამიანი მსუბუქად დაშავდა.

ქუთაისში, ავანგარდის დასახლებაში მდებარე სარიტუალო დარბაზში ბუნებრივი აირის დაგროვების შედეგად აფეთქება ცოტა ხნის წინ მოხდა. აფეთქების მომენტში შენობაში 6 თანამშრომელი იმყოფებოდა.

აფეთქებამ აალება გამოიწვია, რის გამოც სახანძრო ბრიგადის გამოძახებაც გახდა საჭირო.

**ინტერპრესნიუსი**

# კახა კალაძე: „არანაირ ორპარტიულ შეთანხმებაზე საუბარი არ ყოფილა“



ჟურნალისტებს საქართველოს ვიცე-პრემიერმა კახა კალაძემ განუცხადა, რითაც პარტია „ქართულ ოცნებასა“ და „რესპუბლიკელებს“ შორის ორპარტიული შეთანხმების გაფორმების შესაძლებლობის საკითხზე დასმულ შეკითხვას უპასუხა.

კალაძის განმარტებით, პრემიერსა და „რესპუბლიკური პარტიის“ ლიდერებს შორის რამდენიმე დღის წინ გამართულ შეხვედრაზე საუბარი იყო კოალიციაში შემავალ პარტიებთან სტრატეგიულ ურთიერთობებზე.

**კახა კალაძე:** – პრემიერ-მინისტრმა ძალიან ვრცლად ისაუბრა ამ თემაზე. არანაირ ორპარტიულ შეთანხმებაზე არ ყოფილა საუბარი, საუბარი იყო სტრატეგიულ ურთიერთობებზე კოალიციაში შემავალ პარტიებთან.

ჩვენ გვინდა, რომ არჩევნებზე გამოვიდეთ კოალიციურ რეჟიმში, თუმცა კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ კოალიციაში შემავალ პარტიებს გააჩნიათ სხვადასხვა მსოფლმხედველობა ქვეყნის განვითარების. რა თქმა უნდა, პოლიტსაბჭოზე იქნება შესათანხმებელი გარკვეული საკითხი.

**ინტერპრესნიუსი**

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# დავით საგანელიძე: „არც „მრეწველები“ და არც „რესპუბლიკური პარტია“ კოალიციას არ დატოვებენ“



„ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს წევრი, „საპარტნიორო ფონდის“ აღმასრულებელი დირექტორი დავით საგანელიძე მიიჩნევს, რომ არც „მრეწველები“ და არც „რესპუბლიკური პარტია“ კოალიციას არ დატოვებენ. ამის შესახებ საგანელიძემ კოალიციის პოლიტსაბჭოს დაწყებამდე განაცხადა. მისივე თქმით, ამის აუცილებლობა არ არის.

**დავით საგანელიძე:**

– მე იმდენი წელია პოლიტიკაში ვარ, იმდენი პარლამენტი, უთანხმოება და დაპირისპირება მაქვს გამოვლილი, ნამდვილად არ ვიტყოდი, რომ ეს რაიმე სერიოზული დაპირისპირებაა, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს კოალიციაში. ცხადია, გარკვეული გაუგებრობები ხანდახან მწვავე ხასიათს იღებს, რადგან პოლიტიკაში ყველაფერი ხდება.

ყოფილი დეპუტატი მიიჩნევს, რომ საბოლოო ჯამში, კოალიციაში სალი აზრი გაიმარჯვებს.

– არ მგონია ამას დიდი კონფლიქტი მოჰყვეს. რაც შეეხება დატოვებას, არ მგონია რომელიმე პარტიამ კოალიცია დატოვოს და ამის აუცილებლობას ვერ ვხედავ, – განაცხადა დავით საგანელიძემ.

**ინტერპრესნიუსი**

## ნოდარ ხადური: „საქართველოში რევოლუციური, ათასწლეულის პროექტის განხორციელება იწყება“



ჩვენ ველოდებით ძალიან სერიოზულ ინვესტიციებს, – ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა ჟურნალისტებს განუცხადა. ფინანსთა მინისტრი ინვესტიციებს ელოდება კერძო სექტორში, მათ შორის, ენერგეტიკაში, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის სფეროში, ახალი ტურისტული ობიექტების მშენებლობაში.

– შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში რევოლუციური, ათასწლეულის პროექტის განხორციელება იწყება, ეს არის ანაკლიის პორტი, – განაცხადა ხადურმა.

მისივე თქმით, გარდა ამისა, სერიოზულ ინვესტიციებს ახორციელებს სახელმწიფო ინფრასტრუქტურაში და ამ მიმართულებით მუშაობა გაგრძელდება.

– ახლახან დასრულდა დონორთა კონფერენციები, რომელზეც გადაწყდა, რომ დაიწყება ხაშური-ზესტაფონის საავტომობილო მაგისტრალის მშენებლობა. ხელი მოეწერება იაპონელებთან ერთად ერთ-ერთი მონაკვეთის მშენებლობის დაფინანსებაზე ხელშეკრულებას. ასე რომ, სერიოზული, ხელშესახები გეგმებია, რომელთა განხორციელება უდაოდ ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას, – განაცხადა ხადურმა.

**ინტერპრესნიუსი**

## ქართული ღვინის ექსპორტის ყველაზე დიდი მატება რუსეთში დაფიქსირდა



ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2016 წლის იანვარ-თებერვალში საქართველოდან მსოფლიოს 21 ქვეყანაში 4.531.556 ბოთლი (0,75 ლ) ღვინოა ექსპორტირებული, რაც გასული წლის ანალოგიურ მონაცემებს 56%-ით აღემატება.

სულ ექსპორტირებულია 10,75 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ღვინო, რაც გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელზე 27%-ით მეტია.

ამასთან, მსოფლიოს 7 ქვეყანაში ექსპორტირებულია 1.431.868 ბოთლი ბრენდი, რაც 2015 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელზე 165%-ით მეტია. ექსპორტირებულია 3,4 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ბრენდი – მატება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 137%-ს აღწევს.

ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეული ასე გამოიყურება: რუსეთი – 2.559.795, უკრაინა – 651.792, ყაზახეთი – 337.582, პოლონეთი – 322.038 და ჩინეთი – 219.349 ბოთლი.

წლის დასაწყისში ექსპორტის მატება რუსეთში დაფიქსირდა– 154%, უკრაინაში – 37%, პოლონეთში – 46%, ლიტვაში – 26%, ყირგიზეთშიი – 70%, გერმანიაში – 68% და სხვა.

მთლიანობაში, ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ღვინომასალის, ჩამოსასხმელი ბრენდისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა საანგარიშო პერიოდში 20 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა.

**ნიუსპრესი**

## მიხეილ ჯანელიძე: „მთავრობამ გაზმომარაგებისა და ენერგოუსაფრთხოებისთვის საუკეთესო პირობები უზრუნველყო“




– საქართველოს მთავრობამ, ქვეყნის უწყვეტი გაზმომარაგებისა და ენერგოუსაფრთხოებისთვის საუკეთესო პირობები უზრუნველყო, – ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ აზერბაიჯანიდან საქართველოსთვის ბუნებრივი აირის დამატებითი მოცულობის მიღების საკითხზე კომენტირებისას განაცხადა.

როგორც ჯანელიძემ აღნიშნა, საქართველოს მთავრობის მიზანია უზრუნველყოს ქვეყნის უწყვეტი და სტაბილური გაზმომარაგება, რასაც პრობლემა შეექმნა ქვეყანაში გაზრდილი მოხმარების გამო ბოლო პერიოდის განმავლობაში.

მინისტრის თქმით, ამ მიზნის მისაღწევად, საქართველოს ხელისუფლების მიერ წარმოებულმა ღია და ხანგრძლივმა მოლაპარაკებებმა სასურველი შედეგი გამოიღო.

**მიხეილ ჯანელიძე:**

– ჩვენს მეგობარ და სტრატეგიულ პარტნიორ, აზერბაიჯანულ მხარესთან ერთად გამოინახა დამატებითი საშუალებები საქართველოსთვის ბუნებრივი აირის დამატებითი

მოცულობების მოწოდებისთვის და დეფიციტის შესავსებად, კარგი პირობებით. ამ საკითხზე საბოლოო შეთანხმება უკვე შედგა, რაც პირადი ხელმოწერებით დაადასტურეს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა და კომპანია „სოკარის“ პრეზიდენტმა.

რაც შეეხება კომპანია „გაზპრომს“, მოლაპარაკებები მასთან მიმდინარეობდა რუსეთიდან სომხეთში საქართველოს მფლობელობაში არსებული ინფრასტრუქტურით ტრანზიტის ხელშეკრულების გაგრძელების პირობების შესახებ, რაც ჩვეულებრივად ყოველი წლის ბოლოს ხდება 2004 წლის შემდეგ და აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი მოცულობების შესაძლო შესყიდვაზეც, იმ შემთხვევაში, თუ საქართველო სხვა წყაროებიდან ვერ შეძლებდა ზამთრის სეზონზე არსებული დეფიციტის შევსებას, – განაცხადა მიხეილ ჯანელიძემ.

როგორც მინისტრმა განმარტა, კომპანია „სოკართან“ მიღწეული შეთანხმებიდან გამომდინარე, აღარ დგას „გაზპრომ ექსპორტი“-დან დამატებითი მოცულობების შესყიდვის საჭიროება.

– შესაბამისად, ტრანზიტის ხელშეკრულების არსებული პირობებით გაგრძელების შესახებაც შედგა შეთანხმება და მას ხელი უახლოეს დღეებში მოეწერება.

საქართველო, სომხეთში ტრანსპორტირებული ბუნებრივი აირის საფასურს კვლავ ნედლეულის სახით მიიღებს და „გაზპრომ ექსპორტისგან“ დამატებითი მოცულობების შესყიდვის საჭიროების საკითხიც მოხსნილია.

**ინტერპრესნიუსი**

## ლენტეხის, ცაგერისა და ონის მუნიციპალიტეტებში მოქმედ კოოპერატივებს სკები გადაეცათ



სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში იმყოფებოდა, სადაც ადგილობრივ ფერმერებსა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წევრებს შეხვდა.

შეხვედრაზე მინისტრმა საქართველოში მეფუტკრეობის დარგის განვითარების პერსპექტივებზე და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ამ მიმართულებით შემუშავებულ პროგრამაზე ისაუბრა. ოთარ დანელიამ „მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში ლენტეხის, ცაგერისა და ონის მუნიციპალიტეტებში მოქმედ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს 1.200-ზე მეტი სკა გადასცა.

– რაჭის რეგიონს მეფუტკრეობის დარგის განვითარების დიდი პოტენციალი გააჩნია.

შესაბამისად, სახელმწიფო პროგრამა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ამ პოტენციალის ათვისებას, წარმოებული პროდუქციის ხარისხისა და მოცულობის ზრდას, ასევე თაფლის წარმოების მიკვლევადობას, რაც ევროპის ბაზარზე ქართული თაფლის რეალიზაციის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა. პროგრამის ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით 100-მდე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს ჯამში 7 000-ზე მეტი სკა გადაეცემა, – აღნიშნა ოთარ დანელიამ.

როგორც რეგიონის გუბერნატორმა, პაპუნა მარგველიძემ აღნიშნა, რეგიონისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ის პროგრამები, რომელსაც სოფლის მეურნეობის სამინისტრო მეფუტკრეობის დარგის განვითარებისთვის ახორციელებს. პროგრამის ფარგლებში რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში მეფუტკრეობის 28 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს ჯამში 1901 სკა გადაეცა.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარის, გიორგი მიშელაძის განცხადებით, 29 თებერვლიდან 16 მარტის ჩათვლით „მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამაში“ ჩართვის მსურველი კოოპერატივების რეგისტრაციის მეორე ეტაპი მიმდინარეობს.

კოოპერატივებს პროგრამაში დარეგისტრირება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ვებ-გვერდის საშუალებით შეუძლიათ.

**ნიუსპრესი**

## მოლდავეთის 2016 წლის საერთაშორისო დეგუსტაციაზე მხოლოდ შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ ორი ნიმუში იქნა წარდგენილი

მიმდინარე წლის 17-18 თებერვალს კიშინიოვში ჩატარდა მეღვინეობის საერთაშორისო ორგანიზაციის OIV-ის ეგიდით ტრადიციული ღვინისა და სპირტიანი სასმელების საერთაშორისო დეგუსტაცია – გამოფენა „CHISINAU WINES & SPIRITS CONTEST 2016“. ეს ერთადერთი საერთაშორისო დეგუსტაციაა, რომელიც ტარდება პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ამ ეგიდით და მონაწილეობენ იმ ქვეყნების წარმომადგენლები, სადაც ჩვენი ღვინის პროდუქტების ექსპორტის 90%-ზე მეტი ხორციელდება.

ამ დეგუსტაციაზე ტრადიციულად 20 დეგუსტატორი იყო მიწვეული 16 მეღვინეობის ქვეყნებიდან. მათ შორის: იან-მარიე აურანდი – OIV-ის გენერალური დირექტორი საფრანგეთი, ვალერიუ კოტეა OIV-ის ენოლოგთა კომისიის თავმჯდომარე – რუმინეთი, გეორგ ბინდერი ენოლოგი – გერმანიიდან, ჟოზეფ კოსარკა სომელიე – უნგრეთი და სხვები. მე ზედიზედ მეხუთედ ვიყავი მიწვეული. ოთხმა შვიდკაციანმა კომისიამ, რომელიც ხუთი უცხოელი და ორი ადგილობრივი დეგუსტატორით იყო დაკომპლექტებული, ორი დღის განმავლობაში დააჭაშნიკა წინასწარი შერჩევით წარმოდგენილი 326 ნიმუში. გასინჯული ნიმუშების შედეგები იმავდროულად ფიქსირდებოდა ეკრანზე. მიუხედავად საქართველოს ენოლოგთა კავშირისა და ღვინის ეროვნული სააგენტოს მცდელობისა, ამ დეგუსტაციაზე საქართველოდან მხოლოდ **შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობამ“ (დამფუძნებელი ზურაბ ჩხაიძე)** წარადგინა ორი ნიმუში: წითელი მშრალი ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო **„მუკუზანი 2014“** და ქართული **კონიაკი „ძველი კახეთი“ 3 წლის დაძველების.** მართალია ამ ნიმუშებმა მაღალი შეფასებები დაიმსახურეს, მაგრამ კომისიის წევრები, ორგანიზატორები გაკვირვებული მეკითხებოდნენ: სად არის თქვენი ცნობილი „წინანდალი“, „გურჯაანი,“ „ქინძმარაული“, „ხვანჭკარა,“ სახელგანთქმული ძველი ქართული კონიაკებიო. ეტყობა, ჯერჯერობით ჩვენი მეწარმეები ვერ გარკვეულან, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ დეგუსტაციებში წარმატებით მონაწილეობას ექსპორტის გაზრდის მიზნით ტრადიციულ და ახალ ბაზრებზე. მოლდავეთის ენოლოგთა კავშირის მოწვევა ჩვენ დროულად შევატყობინეთ საქართველოს ღვინის ეროვნულ სააგენტოს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, უშუალოდ წარმატებულ საწარმოებს. გავაცანით დეგუსტაციის მოთხოვნები, მაგრამ უშედეგოდ, მხოლოდ ორადორი ნიმუშით შემოიფარგლა ვაზისა და ღვინის სამშობლო.

გავუფრთხილდეთ მეღვინეობისა და სპირტიანი სასმელების ჩვენს ტრადიციულ და ახალ ბაზრებს. სწორედ ამ ბაზრების წარმომადგენლები არიან მოწვეულნი ამ დეგუსტაციის შედეგების გასაშუქებლად. ასევე მოწვეული დეგუსტატორები თავიანთ ქვეყნებში ფართოდ გააცნობენ მიღებულ შედეგებს.

*საქართველოს ენოლოგთა კავშირის თავმჯდომარე მურმან ქურიძე*
*მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო ნამდვილი წევრი*
*ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი*

საჯარო სამართლის იურიდიული პირი რაფიელ დვალის

**მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი**

**აცხადებს ღია კონკურსს შემდეგი თანამდებობების დასაკავებლად**

1. თბოენერგეტიკული დანადგარების განყოფილების უფროსი – მთავარი მეცნიერი თანამშრომელი – სრული საშტატო განაკვეთი;
2. მანქანათმშენებლობის განყოფილების უფროსი – მთავარი მეცნიერი თანამშრომელი – სრული საშტატო განაკვეთი;
3. მანქანათა დინამიკის განყოფილების უფროსი – მთავარი მეცნიერი თანამშრომელი – სრული საშტატო განაკვეთი;
4. მობილური მანქანების განყოფილების უფროსი – მთავარი მეცნიერი თანამშრომელი – სრული საშტატო განაკვეთი;
5. თბოენერგეტიკული დანადგარების განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი – სრული საშტატო განაკვეთი;
6. მანქანათმშენებლობის განყოფილების – მთავარი მეცნიერი თანამშრომელი – 2 არასრული საშტატო განაკვეთი;
7. თბოენერგეტიკული დანადგარების განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – სრული საშტატო განაკვეთი;
8. თბოენერგეტიკული დანადგარების განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი – 1 არასრული საშტატო განაკვეთი;
9. მანქანათმშენებლობის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – სრული საშტატო განაკვეთი;

მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ იგი არის შესაბამისი დარგის სპეციალისტი, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ექვსწლიანი გამოცდილება;

უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ იგი არის შესაბამისი დარგის სპეციალისტი, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ოთხწლიანი გამოცდილება;

მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ იგი არის შესაბამისი დარგის სპეციალისტი, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორწლიანი გამოცდილება.

**დამატებითი ინფორმაციისა და კონკურსისათვის წარსადგენი საბუთების შესახებ ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მდივანს – ქალბატონ სვეტლანა ჩაგელიშვილს, ტ. 2 32-90-17. ინსტიტუტის ვებგვერდია – imm.ge.**

# ვახტანგ ყოლბაია: „საქართველო-რუსეთის პირველი პირების შეხვედრა აუცილებელია“

გულიკო ბალაძე

**კონფლიქტები, რომლებმაც რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობა ომამდე მიიყვანა. შედეგად ტერიტორიები დაიკარგა. ამ ვითარებაში რამდენად წარმოსადგენია რუსეთისა და საქართველოს პირველი პირების შეხვედრა?**

როგორც ჩანს, ახლა რუსეთისგან სიგნალი წამოვიდა – შესაძლოა პუტინისა და კვირიკაშვილის შეხვედრა შედგეს. ამის შესახებ საქართველოს პრემიერის წარმომადგენელმა აბაშიძემ და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კარასინმა შეხვედრისას იმსჯელეს.

რეალურად, პირველი პირების შეხვედრა შეუძლებელია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დეოკუპაციაზე მსჯელობის გარეშე.

აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარეობის მოვალეობის შემსრულებლის ვახტანგ ყოლბაიას განცხადებით, რუსეთისა და საქართველოს პირველ პირებს შორის შეხვედრა როცა არ უნდა მოხდეს, მთავარ პრობლემას გვერდს ვერ აუვლიან.

– არა მგონია, უახლოეს თვალსაწიერში ასეთი შეხვედრა იყოს. თუმცა, შეხვედრა დღეს იქნება თუ ხვალ, ყველა შემთხვევაში, მთავარი პრობლემების გვერდის ავლით შეხვედრა შეუძლებელია, – განაცხადა ვახტანგ ყოლბაიამ.

***– ბატონო ვახტანგ, ახლახან ზურაბ აბაშიძემ განაცხადა, რომ შესაძლებელია საქართველოსა და რუსეთის პირველი პირების შეხვედრა შედგეს. რა ასახვას ჰპოვებს მათი შეხვედრა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ბედზე?***

– არა მგონია ეს შეხვედრა რეალისტური იყოს, რადგან პირველი პირების დონეზე შეხვედრას სერიოზული მომზადება სჭირდება. შეხვედრა შეხვედრისათვის ხომ არ იქნება. ამ დონის შეხვედრას სკურპულოზური მუშაობა სჭირდება სხვა დონეებზე – ეკონომიკის, საგარეო პოლიტიკის, საერთაშორისო პროცესებთან მიმართებაში. აქ ძალიან ბევრი საკითხი იკვეთება, რომელიც დღის წესრიგში დადგა დღეს. ეს არის რეგიონული პრობლემები. რეგიონში განვიხილავ რუსეთ-თურქეთის ურთიერთობას.

***– რუსეთისა და საქართველოს პირველი პირების შეხვედრის აუცილებლობა დგას?***

– რა თქმა უნდა, ასეთი შეხვედრა მომწიფებულია. ჩვენ გვინდა, ამ დონის შეხვედრა იყოს, მაგრამ მას სჭირდება სხვადასხვა დონეების გავლა. არა მგონია, უახლოეს თვალსაწიერში ასეთი შეხვედრა იყოს. თუმცა, დღეს იქნება შეხვედრა თუ ხვალ, ყველა შემთხვევაში, მთავარი პრობლემების გვერდის ავლით შეხვედრა შეუძლებელია.

***– რუსეთ-საქართველოს პირველი პირების შეხვედრის თაობაზე გამოშვებული სიგნალი ნაკარნახევია რეგიონში რუსეთსა და თურქეთს შორის ვითარების გამწვავებით?***

– ლოგიკიდან გამომდინარე, სიგნალი მიუთითებს იმას, რომ რუსეთიდან გარკვეული გზავნილები მოდის და ამ გზავნილებს რეალური შედეგი უნდა მოჰყვეს შეხვედრის სახით, მაგრამ შეხვედრის ორგანიზებისთვის მხოლოდ მესიჯები საკმარისი არ არის. საჭიროა უფრო დაბალ დონეზე მოხდეს შეხვედრები და სიტუაციების განხილვა. შემდეგ გაბედულად მოეწყობა პირველი პირების შეხვედრა.

***– რუსეთისა და საქართველოს პირველი პირების შესაძლო შეხვედრის თაობაზე მსჯელობა აბაშიძისა და კარასინის შეხვედრაზე ყოფილა.***

– არ გამოვრიცხავ. ერთი საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეა, მეორე კი – პრემიერის პირადი წარმომადგენელი. არ გამოვრიცხავ, ამ თემაზე მათ შორის საუბარი იყო და ნიადაგი მოისინჯა. თუმცა, იმ დეტალებზე, რომელზეც შეიძლება ისაუბრონ ორი ქვეყნის პირველმა პირებმა, ძალიან ეკლექტიკურია, კონკრეტული საკითხები უფრო დაბალ დონეზე უნდა იქნას განხილული.

***– თუ ასეთი შეხვედრა რეალურად შედგება, ალბათ, რაღაც ზღვრები იქნება, რაზეც საქართველოს ხელისუფლება არ წავა. რაიმე დათმობები შეიძლება იყოს? ან რა დათმობა შეიძლება, ვთქვათ, აფხაზეთთან დაკავშირებით, თუ ასე დადგება საკითხი?***

– საკითხს ამ კუთხით არ განვიხილავდი. ჯერ ლაპარაკია შეხვედრაზე, საკითხების შეთანხმებაზე, რა თემაზეა შესაძლებელი საუბარი, შეიძლება ვისაუბროთ აფხაზეთის ამ თემაზე თუ ამ თემის გვერდის ავლით. დათმობასა და ამგვარ საკითხებზე საუბარი პირველი პირების დონეზე არ ხდება. დათმობებზე საუბარი და კონსენსუსის მიღწევა ქვედა დონეებზე ხდება.

ჯერ ხდება ქვედა რგოლებში ნიადაგს მოსინჯვა. არის საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინება, ჩვენი ინტერესები. ჩვენ ვართ ევროკავშირის ასოცირებული წევრი. ჩვენ ვიბრძვით ევროატლანტიკური სივრცის ნაწილი გავხდეთ. აღნიშნული საკითხები გასავლელია. ასე იოლი საკითხი არ არის.

***– შესაძლებელია რუსეთ-საქართველოს პირველ პირებს შორის შეხვედრა შედგეს, მაგრამ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის პრობლემებს გვერდი აუარონ?***

– არა მგონია. ეს ის თემაა, რის გამოც მოხდა ორ ქვეყანას შორის კონფრონტაცია. ამიტომ ეს თემა აუცილებლად იქნება. დაბრუნება-არდაბრუნებაზე საუბარი ქვედა დონეებზე მოხდება. შეთანხმებამდე მისვლისთვის შრომატევადი სამუშაოა ჩასატარებელი.

***– ახლახან წვრთნები ჩატარდა აფხაზეთში. რუსეთი რაღაც ჯგუფებს ამზადებს საგანგებო სიტუაციებისთვის. აქ აქვს სამხედრო ბაზა.***

– წვრთნები აფხაზეთში პერმანენტულად ტარდება.

***– ამ სიტუაციაში რუსეთი დეოკუპაციაზე ისაუბრებს?***

– პუტინს გაცხადებული აქვს, თქვენ აფხაზებთან საერთო ენა გამონახეთ, მათთან ურთიერთობა მოაგვარეთ. ჩვენ შერიგებას ხელს არ შევუშლითო. ვერ გამონახავ აფხაზთან საერთო ნებას იმ დონეზე, რომ გადაწყვეტილება მიიღოს მხოლოდ აფხაზურმა მხარემ. აფხაზებს დადებული აქვთ ე.წ. მემორანდუმი მოსკოვთან, რომელშიც გაწერილია ეკონომიკური, სამხედრო, პოლიტიკური, მესაზღვრეების, ურთიერთთანამშრომლობის საკითხები. ამიტომ აფხაზებმა ახლა როგორც უნდა მოინდომონ, დამოუკიდებლად გადაწყვეტილებას ვერ შეძლებენ.

***– სანამ აფხაზეთში რუსეთის სამხედრო ძალა დგას, შეუძლებელია აფხაზებთან რაიმე საკითხზე მოლაპარაკება.***

– აფხაზებს და რუსებს ახლა ჟენევის პროცესი იქით მიჰყავთ, რომ აფხაზებთან დაიდოს თავდაუსხმელობის შესახებ მემორანდუმი. მათ შორის, დადებული მემორანდუმიდან გამომდინარე, აფხაზები სამხედრო საკითხებშიც დამოუკიდებლები ვერ იქნებიან. დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების უფლება თვითონ წაართვეს თავის თავს.

***– ეს შეხვედრა სჭირდება რუსეთს დღევანდელი ვითარების გათვალისწინებით, თუ სჭირდება საქართველოს?***

– ჩვენ გვჭირდება სიტუაციის განმუხტვა და პრობლემის გადაწყვეტა, ცხადია, მაგრამ რუსეთს საქართველოს პირველ პირთან შეხვედრა იმიტომ სჭირდება, გამწვავებული აქვს სიტუაცია საერთაშორისო დონეზე.



# „ქართული ოცნება“ სტალინის გამო ირღვევა“




რუსული გამოცემა „კომერსანტი“ კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ არსებულ დაპირისპირებას ეხმაურება და წერს, რომ მმართველი კოალიციის დაშლა ხელსაყრელია მიხეილ სააკაშვილის მომხრეებისათვის.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ მასალის მიმოხილვას:

„ქართულ ოცნების“ პოლიტიკურ ძალებს შორის მიმდინარე კონფლიქტმა მმართველი კოალიცია დაშლის საფრთხის წინაშე დააყენა. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ პარტია „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ და „რესპუბლიკური პარტიის“ წარმომადგენლები – გოგი თოფაძე და თინა ხიდაშელი, რაც საგარეო პოლიტიკური ორიენტირებითაა განპირობებული: გოგი თოფაძე და მისი თანამოაზრეები საქართველოს ნატოში გაწევრიანებას ეწინააღმდეგებიან, თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი და მისი თანაპარტიელები კი პირიქით – ევროატლანტიკური ინტეგრაციის მხარდამჭერები არიან. დავაში პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ჩაერია და მხარეებს საჯარო შეხლა-შემოხლის შეწყვეტისაკენ მოუწოდა. „ქართულ ოცნებაში“ დაწყებული კრიზისი შეიძლება ოპოზიციამ – მიხეილ სააკაშვილის პარტია „ერთიანმა ნაცმოძრაობამ“ თავის სასარგებლოდ გამოიყენოს, რომელსაც მომავალ საპარლამენტო არჩევნებში რევანშის აღება სურს“, – ნათქვამია სტატიაში.

პუბლიკაციაში ვრცლადაა გამოცემული „მრეწველებისა“ და „რესპუბლიკელების“ ბოლო დღეების დაპირისპირების მიმდინარეობა: გოგი თოფაძისა და თინა ხიდაშელის განცხადებები პრესით და ტელევიზიით, მათი არგუმენტები ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ორიენტირების შესახებ და ა.შ. იყო არასასიამოვნო ეპითეტებიც... სტატიაში ყურადღება გამახვილებულია თინა ხიდაშელის ტელეგამოსვლაზე „რუსთავი-2“-ის გადაცემაში, როცა მან დეპუტატ გოგი თოფაძეს „სტალინისტი“ და „რუსეთუმე“ უწოდა. მანამდე კი თვითონ გოგი თოფაძემ ნატო და ამერიკა საქართველოსთვის უბედურების მომტანებად შერაცხა, იოსებ სტალინი კი „კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდ გენიოსად“ მიიჩნია.

პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა სამ მარტს გაკეთებულ სპეციალურ განცხადებაში დაუშვებლად მიიჩნია მმართველი კოალიციის სუბიექტების საჯარო დაპირისპირება და მხარეებს ყველა პრობლემის კოალიციის შიგნით მოგვარებისაკენ მოუწოდა. მან აღნიშნა, რომ საჯარო პოლემიკის დროს ორივე მხარემ შეცდომები დაუშვა – გოგი თოფაძემაც და თინა ხიდაშელმაც, თუმცა პრემიერ-მინისტრმა თავდაცვის მინისტრს მიანიშნა, რომ იგი არა მარტო პარტიული ლიდერია, არამედ მთავრობის წევრიც და, შესაბამისად, მისი მხრიდან პოლემიკაში ასეთი აქტიური მონაწილეობა დაუშვებელია, „ეს არმიის პოლიტიზებას იწვევს“.

საბჭოთა ეპოქისდროინდელმა დისიდენტმა, რესპუბლიკელმა დეპუტატმა ლევან ბერძენიშვილმა „კომერსანტის“ კორესპონდენტთან საუბარში აღნიშნა, რომ გოგი თოფაძემ თავისი მოქმედებით „უკვე წითელ მიჯნას“ გადააბიჯა, რომ მისი განცხადებების მოთმენა აღარ შეიძლება, ეს ყველაფერი „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოზეა განსახილველი. აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკელთა გაღიზიანებას იწვევს აგრეთვე გოგი თოფაძის განცხადებები იმის თაობაზე, რომ თინა ხიდაშელმა თავისი გავლენით ისარგებლა და საგარეჯოს რაიონში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები გააყალბა.

როგორ მოხვდნენ ერთმანეთისაგან ასე განსხვავებული პლატფორმების მქონე პარტიები ერთ კოალიციაში? „კომერსანტის“ მიერ დასმულ ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას ლევან ბერძენიშვილმა ასეთი მიზეზი დაასახელა – „იმ დროს მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისათვის ასე იყო აუცილებელიო“. დღეს კი „ნაციონალები“ კმაყოფილებას ვერ მალავენ: „ბოლოს და ბოლოს, „რესპუბლიკელები“ მიხვდნენ, რომ მათთან ერთად კოალიციაში ისეთი ძალებიც არიან, რომლებსაც კრემლი მართავს“, – ამბობს სერგო რატიანი, „ნაციონალთა“ ერთ-ერთი ლიდერი.

ქართველი ექსპერტების აზრით, თუ საკითხი მწვავედ დადგება, „ქართული ოცნების“ ლიდერები „რუსეთუმე“ გოგი თოფაძეს მხარს არ დაუჭერენ. „ქართული ოცნება“ მთლიანობაში პროდასავლურ ძალად მოიაზრება, ამიტომაც კოალიციის წევრებისათვის უფრო ადვილია უარი თქვან გოგი თოფაძის წევრობაზე, ვიდრე „რესპუბლიკელებზე“, – განუმარტა „კომერსანტს“ სიტუაცია პოლიტოლოგმა რამაზ საყვარელიძემ. ამასთან, მან აღნიშნა, რომ „ოცნებაში“ მომხდარი განხეთქილება, მომავალი საპარლამენტო არჩევნების გათვალისწინებით, ალბათ წყალს მიხეილ სააკაშვილისა და მისი თანაპარტიელების წისქვილზე დაასხამს.

**ნიუსპრესი**

# თურქეთში გარდაცვლილი საქართველოს მოქალაქეების ოჯახები დახმარებას ითხოვენ

თურქეთში გარდაცვლილი დების, ემა და ელნაზ შარიპოვების, ასევე, 19 წლის საჰიპ შარიპოვის ოჯახის წევრები, საქართველოს ხელისუფლებისგან დახმარებას ითხოვენ. მათი განცხადებით, უკვე თვენახევარი გავიდა თურქეთში მათი ოჯახის წევრების გარდაცვალების შემდეგ და ამ დრომდე გამოძიების შესახებ ინფორმაცია არ გააჩნიათ.

შარიპოვების ოჯახის წევრები დახმარებას თურქეთის ხელისუფლებასაც სთხოვენ და დამნაშავეების დროულად დაკავებასა და დასჯას ითხოვენ.

საჰიპ შარიპოვის მამის, ზაქირ გასანოვის თქმით, უკვე ორმოცი დღე გავიდა იმ საშინელი ტრაგედიის შემდეგ, მათ კი არანაირი ინფორმაცია არ გააჩნიათ იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს გამოძიების პროცესი, არიან თუ არა ეჭვმიტანილები გამოკვეთილი და დაისჯებიან თუ არა დამნაშავეები.

ემა, ელნაზ და საჰიპ შარიპოვები თურქეთში, შირნაკის პროვინციაში ერთ-ერთ სახლში გარდაცვლილები 29 იანვარს იპოვეს, ერთ-ერთი ვერსიით, ისინი სავარაუდოდ, ბუნებრივი აირით გაიგუდნენ, მეორე ვერსიით კი, ერთ ქალბატონს და ახალგაზრდა ბიჭს ყელი ჰქონდათ გამოჭრილი, მეორე ქალბატონი კი გაგუდული იყო.

შარიპოვები საქართველოს მოქალაქეები იყვნენ. ისინი თურქეთიდან საქართველოში, მარნეულში გადმოასვენეს.

**ინტერპრესნიუსი**

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო



# დავით სერგეენკო: „თუ რუსეთ-საქართველოს პირველი პირები შეხვდებიან, ყველა დეტალი წინასწარ უნდა გაანალიზდეს“

ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო საქართველო-რუსეთის პირველი პირების შესაძლო შეხვედრის საკითხს გამოეხმაურა და განაცხადა, რომ შეხვედრის შემთხვევაში ყველა საკითხი შესწავლილი და მთავრობის წევრებთან გავლილი უნდა იყოს.

– თუკი ქვეყნის პირველი პირების შეხვედრა გადაწყდება, მით უმეტეს, ასეთი სენსიტიური მიმართულებით, ამ ყველაფერს წინასწარ ძალიან დიდი მომზადება დასჭირდება. ყველა დეტალი გაანალიზებული უნდა იყოს და გადაწყვეტილებები ამის შემდეგ უნდა იქნეს მიღებული, – განაცხადა სერგეენკომ.

გავრცელებული ინფორმაციით, რუსეთისა და საქართველოს პირველი პირების შესაძლო შეხვედრის თაობაზე მსჯელობა, სავარაუდოდ, გრიგორი კარასინისა და ზურაბ აბაშიძის შეხვედრაზე გაიმართება.

აღნიშნულის შესაძლებლობას თავად პრემიერის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში ზურაბ აბაშიძე არ გამორიცხავს. თუმცა, როგორც აბაშიძემ აღნიშნა, ამ ეტაპზე რაიმე კონკრეტული სამზადისი არ მიმდინარეობს.

**ნიუსპრესი**

# პროკურატურა უკანონოდ ჩამორთმეულ ქონებას კიდევ 5 დაზარალებულს დაუბრუნებს



საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის გადაწყვეტილებით, დაზარალებულ მოქალაქეებს უკანონოდ ჩამორთმეული და ამჟამად სახელმწიფო ბალანსზე რიცხული 3 საცხოვრებელი ბინა და 1 საოფისე ფართი დაუბრუნდებათ.

როგორც „ინრტერპრესნიუსს" მთავარი პროკურატურიდან აცნობეს, დეპარტამენტის მიერ გახსნილია ქონების უკანონოდ ჩამორთმევის მორიგი ფაქტი.

კერძოდ, ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ 2010 წლის 6 სექტემბერს მთავარ პროკურატურას დაკავებული ჰყავდა სამშენებლო კომპანია „მშენებელი XXI საუკუნის" დირექტორი და დამფუძნებელი მერაბ ლურსმანაშვილი და ნუგზარ ბარბაქაძე, რომელთაც ედავებოდნენ მშენებლობის პროცესში ამხანაგობის კრების ოქმის გაყალბებას და მათ უკანონოდ გამოყენებას.

– გამოძიების მსვლელობისას მთავარი პროკურატურის წარმომადგენლებმა პროკურატურაში დაიბარეს დაკავებული მშენებლების ნუგზარ ბარბაქაძისა და მერაბ ლურსმანაშვილის მეუღლეები – მარინე რუაძე და მარინე მამაცაშვილი, რომლებსაც განუცხადეს, რომ თუ სურდათ მათ მეუღლეებთან საპროცესო შეთანხმების გაფორმება, ამისთვის აუცილებელი იყო უსასყიდლოდ დაეთმოთ წყნეთის გზატკეცილი 39-ში მდებარე მათ კანონიერ საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინები, წინააღმდეგ შემთხვევაში ნუგზარ ბარბაქაძეს და მერაბ ლურსმანაშვილს დიდი ხნით მოუწევდათ ციხეში ყოფნა.

აღნიშნული ზეწოლის შედეგად, პროკურატურაში არაერთი გამოძახების შემდეგ, მარინე რუაძე და მარინე მამაცაშვილი იძულებულნი გახდნენ დათანხმებოდნენ პროკურატურის უკანონო მოთხოვნას და სახელმწიფოს სახელზე გადააფორმეს მათ საკუთრებაში არსებული ბინები. მხოლოდ ამის შემდეგ პროკურატურამ ბრალდებულებთან გააფორმა საპროცესო შეთანხმება, სადაც არ იქნა ასახული შეთანხმების „ჩრდილოვანი პირობა" – ბინების დათმობა, ბრალდებულებს განესაზღვრათ პირობითი მსჯავრი, დაეკისრათ ჯარიმები და მათ დატოვეს საპატიმრო დაწესებულება. უკანონოდ ჩამორთმეული ბინები კი აღირიცხა პროკურატურის და თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე, – აცხადებენ მთავარ პროკურატურაში.

საგამოძიებო უწყების ინფორმაციით, გამოძიებასთან გამოჩენილი განსაკუთრებული თანამშრომლობის გამო, პროკურატურის მიერ ბინების ჩამორთმევაში მხილებული ყოფილი პროკურორის მიმართ გამოყენებულ იქნა დისკრეცია და არ მოხდა მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება.

თანამშრომლობის შედეგად კი გამოძიება გაგრძელდება პროკურატურის ყოფილი ხელმძღვანელი თანამდებობის პირების მიმართ.

დაზარალებულ მოქალაქეებს მარინე მამაცაშვილს, მერაბ ლურსმანაშვილს, ნუგზარ ბარბაქაძეს და მარინე რუაძეს დაუბრუნდებათ ამჟამად სახელმწიფოს ბალანსზე რიცხული წყნეთის გზატკეცილი 39-ში მდებარე 150 000 დოლარამდე ღირებულების 166 და 87 კვადრატული მეტრი ორი საცხოვრებელი სახლი.

გარდა ამისა, საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტმა კიდევ ერთი დაზარალებული მოქალაქის რამაზ თოთლაძის დარღვეული უფლების აღდგენა მოახერხა.

რამაზ თოთლაძე თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2011 წლის 05 ივლისს უსაფუძვლოდ დამნაშავედ ცნო უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისთვის და სასჯელად განუსაზღვრა 9 (ცხრა) წლით თავისუფლების აღკვეთა, ჯარიმა 50 000 ლარის ოდენობით და ჩამოართვა საცხოვრებელი ბინა და საოფისე ფართი.

2016 წლის 14 იანვარს, პროკურატურაში შექმნილმა ახალმა დეპარტამენტმა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა რამაზ თოთლაძის რეაბილიტაცია – მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა და უკანონოდ ჩამორთმეული საცხოვრებელი ბინის და საოფისე ფართის დაბრუნება.

აღსანიშნავია, რომ სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის შუამდგომლობა და დადასტურებულად მიიჩნია, რომ რამაზ თოთლაძეს ბრალდება უკანონოდ ედავებოდა საცხოვრებელი ბინის და საოფისე ფართის შეძენის გზით დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას, რის საფუძველზეც მას ჩამორთმეული ჰქონდა ხსენებული უძრავი ქონებები, რასთან დაკავშირებითაც სააპელაციო სასამართლომ 2016 წლის 29 თებერვალს რამაზ თოთლაძის მიმართ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი, მოუხსნა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 50.000 ლარი.

აღნიშნულის საფუძველზე, საქართველოს პროკურატურა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართავს, რათა დაზარალებულ მოქალაქეს რამაზ თოთლაძეს დაუბრუნდეს სახელმწიფო ბალანსზე რიცხული ნახევარ მილიონ ლარამდე ღირებულების თბილისი, ჯანაშიას ქუჩაზე მდებარე დუპლექსის ტიპის 535 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ბინა და ამავე მისამართზე მდებარე 57,04 კვადრატული მეტრი საოფისე ფართი. მთავარ პროკურატურაში შექმნილი ახალი დეპარტამენტის მიერ გაწეული მუშაობის შედეგად 5 დაზარალებულ მოქალაქეს პროკურატურის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და მთავრობის ერთობლივი მუშაობით დაუბრუნდებათ 1 მილიონ ლარამდე ღირებულების 3 საცხოვრებელი ბინა და 1 საოფისე ფართი.

– პროცესი, რომელიც პროკურატურაში შექმნილმა ახალმა დეპარტამენტმა დაიწყო, რაც უკავშირდება დაზარალებული მოქალაქეებისთვის 2012 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდში იძულებით ჩამორთმეული ქონებების დაბრუნებას, აქტიურად მიმდინარეობს და მას ექნება შეუქცევადი ხასიათი, – ნათქვამია მთავარი პროკურატურის განცხადებაში.

**ინტერპრესნიუსი**

## საერთაშორისო

# გარდაიცვალა ნენსი რეიგანი



გარდაიცვალა აშშ-ს პირველი ლედი 1981-89 წ.წ.-ში ნენსი რეიგანი. ის რონალდ რეიგანის ცოლი და აშშ-ს ისტორიაში ყველაზე პოპულარული პირველი ლედი გახლდათ.

ნენსის ქალიშვილობის გვარია ანა-ფრანცისკ რობინსი. ის 1921 წელს დაიბადა. 1852 წელს რონალდ რეიგანზე გათხოვდა. ნენსიმ რეიგანის კარიერულ აღმასვლაში უდიდესი როლი ითამაშა. მან დიდად განაპირობა ის, რომ ჰოლივუდის საშუალო დონის მსახიობი მსოფლიო რანგის პოლიტიკოსი გახდა. სწორედ რეიგანის სახელს უკავშირდება ცივ ომში რუსეთის იმპერიის დამარცხება, რამაც საბჭოთა კავშირის დანგრევისთვის ნიადაგი მოამზადა.

რონალდ და ნენსი რეიგანებმა ერთად ნახევარ საუკუნეზე მეტი იცხოვრეს. რეიგანის პრეზიდენტობის ვადის ამოწურვის შემდეგ გაემგზავრნენ კალიფორნიაში. აქ მათ საქველმოქმედო ფონდი გახსნეს. რეიგანის სიკვდილის შემდეგ ნენსი აქტიურ საზოგადო მოღვაწეობას განაგრძობდა.

2011 წელს ნენსის აშშ-ს უმაღლესი ჯილდო, კონგრესის ოქროს მედალი მიენიჭა.

# ევროპაში პირველი ირანული ტანკერი ჩავიდა



ესპანეთის საპორტო ქალაქ ალხესიორასში ირანული ტანკერი ჩავიდა.

სანქციების მოხსნის შემდეგ ეს ევროპაში ნავთობით დატვირთული პირველი ირანული ტანკერია.

სულ დაგეგმილია ნავთობით დატვირთული 29 ტანკერის გაგზავნა. უახლოეს ხანებში ევროპაში კიდევ ორი ასეთი ტანკერის ჩასვლას მოელიან. ერთი კონსტანცაში (რუმინეთი) ჩავა, მეორე – სამხრეთ საფრანგეთში.

# დონბასიდან რუსეთში კიდევ 15 ჯარისკაცი გადაასვენეს



დონბასში რუსული არმიის დანაკარგები სულ უფრო იზრდება. რადიო „თავისუფლების" ცნობით, მხოლოდ უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში დონბასიდან რუსეთში 15 ჯარისკაცი ჩაასვენეს.

უკრაინის სამხედრო დაზვერვამ გამოაქვეყნა იმ რუსი მაღალჩინოსანი ოფიცრების გვარები, რომლებიც დონბასში იმყოფებიან და საომარ მოქმედებებს ხელმძღვანელობენ. მათ შორისაა გენერალი ტიმოფეევიც, რომელიც გორლოვკაში სოკოლოვის გვარით იმყოფება.

დონბასში ლოკალური ხასიათის შეტაკებები არ წყდება. უკრაინის ანტიტერორისტული შტაბის ცნობით, გასული დღე-ღამის განმავლობაში სეპარატისტებმა და რუსმა ჯარისკაცებმა უკრაინელთა პოზიციებს ცეცხლი 38-ჯერ დაუშინეს.

მწვავე შეტაკებები გაიმართა პესკისთან, კრასნოგოროვკასთან. დაღუპულია 2 უკრაინელი ჯარისკაცი.


# ტიტანის სამკურნალო მაგნიტური სამაჯური



სამაჯური ხასიათდება უნიკალური სამკურნალო და გამაჯანსაღებელი თვისებებით.ჩატარებული მეცნიერული კვლევების შემდეგ 2005 წელს ევროპამ და 2006 წელს ამერიკამ აღიარეს, როგორც 21 საუკუნის პროდუქტი. ჩვენება არეგულირებს არტერიულ წნევას. ხსნის სტრესს, დაღლილობას, სახსრებისა ხერხემლისა და თავის ტკივილს. აწესრიგებს ძილს, იმუნურ სისტემას. ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას. არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში. აძლიერებს ნაწლავურ ფლორას, არეგულირებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, ამაღლებს ტონუსს, აქვს ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედება, გვარდება ნევროზები, გამოაქვს ორგანიზმიდან „შლაკები", მარილები, წამლისგან დარჩენილი ნივთიერებები, მისი ყოველდღიური მოხმარება არეგულირებს მეტაბოლიზმს (ნივთერებათა ცვლა). გაჯანსაღების გზით ხდება წონის კორექცია, გვარდება ნევროზები, პოტენცია, ადამიანი ხდება ენერგიული, ეხსნება ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება და ა.შ.

ის იწყებს ძიებას ორგანიზმში რა არის დაზიანებული, თვითონ აგნებს და ზუსტად იქიდან იწყებს მოგვარებას. მას აგრეთვე უწოდებენ „მაგიურ სამაჯურს"

დაახლოებით 10 წუთში თქვენ ნათლად გრძნობს სითბოს ან ჩხვლეტას მაჯაზე. თუმცა, ზოგიერთი ადამიანი, გრძნობს რამდენიმე საათის ან 2-3 დღის შემდეგ. რამდენიმე დღეში იგრძნობთ რომ შეგიმსუბუქდათ ტკივილები, რომელიც წლების განმვლობაში გაწუხებდათ. სამაჯურის მუდმივად მოხმარების შემდეგ კი უკვალოდ ქრება. ტიტანის სამაჯურის მოხმარების შემდეგ პაციენტს აღარ სჭირდება ზედმეტი წამლები.

შემადგენლობა ტიტანის სამაჯაურში ჩასმულია სამედიცინო მაგნიტი. (ნეოდიმი). ნეოდიმი მაგნიტებს შორის არის ყველაზე ძლიერი მუდმივი მაგნიტი.

არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები, მწარმოებელი ქვეყანა გერმანია. მიწოდება შესაძლებელია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბინაზე. ფასი 50 ლარი.

**მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79. ტელ: 2 182 186.**
**შეკვეთები მიიღება ნომერზე: 579 885 996.**


# კიევში რუსეთის საელჩოს კვერცხები დაუშინეს

## ნადეჟდა სავჩენკოს მხარდამჭერი აქცია



უკრაინის დედაქალაქში ნადეჟდა სავჩენკოს მხარდამჭერი აქცია ჩატარდა. მანიფესტანტებმა მწყობრი ნაბიჯით გაიარეს კიევის მთავარი ქუჩები, შემდეგ რუსეთის საელჩოსთან შეჩერდნენ და მას კვერცხები დაუშინეს.

ამის შემდეგ მანიფესტანტებმა საელჩოს წინ პუტინის ფიტული ჩამოახრჩვეს. პოლიციას, რომელიც საელჩოს შენობას იცავდა, მათთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ კიევს ნოტა გაუგზავნა და მომხდარის გამო პროტესტი გამოთქვა.

პარალელურად მოსკოვში რუსმა შოვინისტებმა უკრაინის საელჩოსთან აქცია მოაწყვეს. ისინი სკანდირებდნენ: „ბანდერელებო, ჩვენი კიევიდან გაეთრიეთ!"

ამის შემდეგ საელჩოს შენობას კვერცხები დაუშინეს.

# ტედ კრუზი დონალდ ტრამპს დაეწევა?



გასული კვირის პრაიმერიზის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა სენატორ ტედ კრუზის წარმატება იყო. მან ტრამპი ორ შტატში, კანზასსა და მენში დაამარცხა.

კრუზსა და ტრამპს შორის დისტანცია შემცირდა.

თავად კრუზი აცხადებს, რომ ტრამპს აუცილებლად დაეწევა და გადაუსწრებს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**


# განცხადებები

## მკურნალობა

● უძლიერესი ნათელმხილველი დარეჯანი – კმაყოფილი დარჩებით უმაღლეს დონეზე, აქვე მოიხსნით სხვადასხვა პრობლემას. მიღება შპს „იადიგარ დაუდის" ოფისში. ტელ: 555-75-90-62.

● ნანა ქიბროწაშვილი – ფირმა „იადიგარ დაუდის" დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი. ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრები და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის გამზირი №57, მე-2 სად. მე-2 სართ. ოფისი №7. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება 12 საათიდან 15 საათამდე.

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი" გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: ალმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი".

# თბილისის დინამო თითქმის ჩემპიონია

## ევროტურნირებისთვის ბრძოლა დაიძაბა



გაიმართა საქართველოს საფეხბურთო პირველობის მორიგი ტურის მატჩები.

**დინამო (თბ) – მერანი 2:0**

**თბილისი.** დინამო არენა

1:0 ქვილითაია (25), 2:0 ამისულაშვილი (40)

**დინამო:** ჰრდლიჩკა, უ.ლობჟანიძე, რენე, ამისულაშვილი, თევზაძე (ალვარო 64), ზ.ჭელიძე, პარუნაშვილი, ჭანტურიშვილი, კიტეიშვილი (ს.ლობჟანიძე 86), იაშვილი (არაბული 71), ქვილითაია

**მერანი:** მამალაძე, კიკნაველიძე, მელიავა, გიორგაძე, ციმაკურიძე, ტეიდი, ჯიქია (აშორტია 46), ჯღამაია, ხაბელაშვილი (გეგია 64), უგულავა (შენგელია 75), საბანაძე

მატჩში პირველი სახიფათო მომენტი სტუმრებმა შექმნეს, როცა შოთა ჯიქიას შორიდან დარტყმული ბურთი ზემოდან გადასცდა დინამოს კარს. საპასუხოდ ორიოდე წუთში გიორგი ქვილითაიას თავურია აღსანიშნავი.

25-ე წუთზე თბილისელებმა ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს, ალექსანდრე იაშვილმა ჩინებული პასით მეკარესთან პირისპირ გიორგი ქვილითაია დატოვა და მანაც ჩემპიონატში მე-16 გოლი გაიტანა.

ხუთიოდე წუთში ქვილითაიას კიდევ შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ მისი დარტყმული არაზუსტი გამოდგა. მომდევნო შეტევაში კი სტუმრებს არ გაუმართლათ, როცა ივანე ხაბელაშვილმა დინამოელთა საჯარიმოში ხელსაყრელი სიტუაციით ვერ ისარგებლა.

მე-40 წუთზე ალექსანდრე იაშვილმა ჩამოაწოდა კუთხური, ბურთი ალექსანდრე ამისულაშვილს მიუვიდა და მანაც ზუსტი დარტყმით მეორედ აიღო მერანის კარი.

მეორე ტაიმში ბევრი მომენტი აღარ შექმნილა. უფრო მეტი მომენტი სტუმრებს ჰქონდათ, მაგრამ ლაშა ჯღამაიას და იმედა აშორტიას დინამოელთა მეკარემ, ლიბორ ჰრდლიჩკამ არ გაატანინა. მატჩის ბოლოს რენე ფერეირასაც ჰქონდა მომენტი, თუმცა ტაბლოზე ანგარიში არ შეცვლილა.

**სიონი – საპოვნელა 4:1**

**ბოლნისი.** თამაზ სტეფანია

1:0 რაზმაძე (28), 2:0, 3:0 ტატანაშვილი (53, 61), 4:0 კობახიძე (65), 4:1 ბუხაიძე (70)

**სიონი:** მერლანი, გაფრინდაშვილი, ვ.კილასონია, ჯაფიაშვილი, საჯაია, შულაია (კობახიძე 20), გვალია (გ.კილასონია 67), რაზმაძე, მანჯგალაძე, გოგობერიშვილი, ტატანაშვილი (მანაგაძე 64)

**საპოვნელა:** გიორგაძე, ლ.ჭელიძე, ჩიკვილაძე, ვაჭარაძე (ბანძელაძე 35), შარიქაძე (ტყეშელაშვილი 57), ბოლქვაძე, ენდელაძე, ოდიკაძე (ბუხაიძე 69), მაკარიძე

იოლად მოიგო სიონმა და სამეულში შეაბიჯა. ამასთან, სიონი თასის ნახევარფინალში. მოკლედ, ბოლნისური კლუბი ორი ფრონტით იბრძვის ევროტურნირებზე გასასვლელად და არ არის გამორიცხული, რამე ტიტულსაც გამოკრას ხელი.

ანგარიში რაზმაძემ გახსნა, რომელმაც მანჯგალაძისგან მიიღო ბურთი და მეკარისგან მარჯვენა დაბალ კუთხეში გადაგზავნა – 1:0.

შემდეგი გოლები დიმიტრი ტატანაშვილის იყო: 53-ე წუთზე ჯერ ჭელიძის შეცდომით ისარგებლა, ხოლო 61-ე წუთზე, კობახიძის პასით, მეკარესთან პირისპირ დარჩა.

65-ე წუთზე კობახიძემ ორი მცველი მოატყუა და მეკარისგან მარჯვენა მაღალ კუთხეში ულამაზესი გოლი გაიტანა – 4:0.

პრესტიჟის გოლი სტუმრებმა 70-ე წუთზე გაიტანეს. თავი შეცვლაზე ერთი წუთის წინ შემოსულმა ბუხაიძემ გამოიჩინა.

**ცხინვალი – დილა 0:0**

**თბილისი.** მიხეილ მესხი 2

**ცხინვალი:** ნადირაძე, გორგიაშვილი, მახარობლიძე, ქარდავა, კაკუბავა, მაისაშვილი, ცერცვაძე, ჯაფარიძე, ივანიშვილი, ლექვთაძე (ბეჭვაია 77), ქოჩლაძე (ლობჟანიძე 66)

დილა: მუჯრიშვილი, სამხარაძე, კვირკველია, კვახაძე, ხურცილავა, ფალავანდიშვილი, წიქარიძე (ნონიკაშვილი 46), ჩელებაძე (მოდებაძე 60), ძარია, მარცვალაძე, მაშუკოვი (ახალკაცი 78)

ვეღარ ჩაუქობს დილა მეორე წრეში, ბლომად ქულები ანიავა და ახლა ჩემპიონობისთვის ბრძოლა კი არა, ევროსაგზურებიც შესაძლოა სანატრელი გაუხდეს.

არც ცხინვალელთათვის იყო მისაღები შედეგი ფრე – კახი კაჭარავას გუნდმა მე-3 ადგილი სიონს გადააბარა.

**ტორპედო – დინამო (ბთ) 1:0**

**ზესტაფონი.** დავით აბაშიძე

1:0 კაპანაძე (55)

**ტორპედო:** კვასხვაძე, ტაბატაძე, ნერგაძე, მირცხულავა, ქიმაძე, მამასახლისი (ფურცხვანიძე 83), კლიმიაშვილი, კუხიანიძე, საღრიშვილი (შინდაგორიძე 51), ტუღუში, კაპანაძე (ჭიჭინაძე 88)

**დინამო:** ალავიძე, ტვილდიანი, გოგიტიძე, მიხაილოვიჩი, სუხიაშვილი, ქავთარაძე, შონია, დიასამიძე (ვარშანიძე 55), ფონიავა, გაბედავა, კომაზეცი (თევდორაძე 76)

მოულოდნელზე უკეთ ათამაშდნენ მეორე წრეში ქუთაისელები და ზედიზედ მე-3 მატჩი მოიგეს. რაში წაადგებათ ეს, ჯერ არავინ იცის, მაგრამ ზღვისპირელებს მნიშვნელოვანი ქულები დააკარგვინეს.

მატჩის ერთადერთი გოლი თორნიკე კაპანაძის ანგარიშზეა.

**ჩიხურა – ზუგდიდი 4:0**

**ივანწმინდა.** ცენტრალური

1:0 სარდალიშვილი (8), 2:0 კუჭუხიძე (48), 3:0 სარდალიშვილი (63), 4:0 ენუქიძე (65)

**ჩიხურა:** კაკალაძე, თ.კირკიტაძე (დ.კირკიტაძე 46), განუგრავა, გაბაძე (მუმლაძე 27), კორიფაძე, ენუქიძე, სარდალიშვილი, ჩიკვაიძე, დობროვოლსკი, კაშია, კუჭუხიძე (ჯოხაძე 74)

**ზუგდიდი:** ზარქუა, მაჩაიძე, ფიფია, გაგოშიძე, ჩანადირი, ტყემალაძე, ჩებოტარიოვი, ქირია (ლაშხია 46), კოვალენკო, სამუშია, ქობალია (შეველი 59)

მორიგი ჩინებული საშინაო მატჩი ჩატარა ჩიხურამ და ისევ დიდი ანგარიშით მოიგო. ამაში დიდი წვლილი მიშო სარდალიშვილს მიუძღვის, რომელმაც თავი დუბლით გამოიჩინა. კიდევ თითო გოლი კუჭუხიძისა და ენუქიძის ანგარიშზეა.

ჩიხურა ამ მოგებით ევროსაგზურის ზონას მიუახლოვდა.

**შუქურა – კოლხეთი 1:0**

**ქობულეთი.** ჩელე არენა

1:0 ლობჟანიძე (19)

45-ე წუთზე ლობჟანიძემ პენალტი ვერ გაიტანა (ძელი)

**შუქურა:** ჯიოევი, აფაქიძე, მალანია, გეგეჭკორი, დოლიძე (ურიდია 82), პუკანიჩი (კერძევაძე 75), ჩალაძე, გეწაძე, თარხნიშვილი, მოსიაშვილი, ლობჟანიძე

**კოლხეთი:** სეფიაშვილი, თ.შალიკაშვილი, გ.კილასონია (ლ.კაკულია 60), ჩაკვეტაძე, თ.კაკულია, თუხარელი, გიგაური, პოლულიახი (გურეშიძე 61), ჟიშკარიანი, ნიქაბაძე, ტუღუში (სიჭინავა 36)

გაძევება: შალიკაშვილი (69)

ჩიხურამ ელგუჯა ლობჟანიძის ერთადერთი გოლით მოიგო, რომელსაც დუბლის შესრულებაც შეეძლო, მაგრამ 11 მეტრიდან ბურთი ძელს გაარტყა.

**გურია – ლოკომოტივი 0:0**

**ლანჩხუთი.** ევგრაფი შევარდნაძე

**გურია:** იმერლიშვილი, ნოზაძე, ჩადუნელი (კილაძე 64), ბენეტი, ი.კვეკვესკირი, ნუნიეზი, ზოზულია, ალავერდაშვილი, გამყრელიძე (შტანდერი 88), მოროზენკო, ჟუნიორი (კახელიშვილი 73)

**ლოკომოტივი:** თევდორაძე, გ.ფოფხაძე, ცხადაძე (გავაშელიშვილი 72), გ.დიასამიძე, ხიდეშელი, ქიქავა, გაბაძე, მზევაშვილი, ჩაგელიშვილი (პატარკაციშვილი 64), ბ.მახარაძე, უბილავა (სულთანიშვილი 46)

გაძევება: ქიქავა (39), ფოფხაძე (64)

25 წუთზე მეტი 9 ფეხბურთელით იყო მოედანზე ლოკომოტივი, მაგრამ გურულებმა მათ კარში გოლის გატანა ვერ მოახერხეს. მეტიც, კინაღამ დაისაჯნენ რამდენიმე სახიფათო კონტრშეტევის დროს.

ბრავო ლოკომოტივს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 19 | 17 | 1 | 1 | 53-15 | 52 |
| 2.დილა | 19 | 12 | 4 | 3 | 33-15 | 40 |
| 3.სიონი | 19 | 11 | 4 | 4 | 39-22 | 37 |
| 4.ცხინვალი | 19 | 10 | 6 | 3 | 37-22 | 36 |
| 5.სამტრედია | 18 | 11 | 2 | 5 | 37-20 | 35 |
| 6.ჩიხურა | 19 | 10 | 3 | 6 | 35-17 | 33 |
| 7.დინამო (ბთ) | 19 | 9 | 6 | 4 | 31-18 | 33 |
| 8.ტორპედო | 19 | 8 | 5 | 6 | 30-28 | 29 |
| 9.შუქურა | 19 | 7 | 6 | 6 | 19-17 | 27 |
| 10.საბურთალო | 18 | 6 | 3 | 9 | 25-38 | 21 |
| 11.კოლხეთი | 19 | 5 | 3 | 11 | 14-25 | 18 |
| 12.ლოკომოტივი | 19 | 4 | 4 | 11 | 20-27 | 16 |
| 13.გურია | 19 | 3 | 7 | 9 | 15-30 | 16 |
| 14.მერანი | 19 | 3 | 2 | 14 | 16-46 | 11 |
| 15.ზუგდიდი | 19 | 1 | 6 | 12 | 13-42 | 9 |
| 16.საპოვნელა | 19 | 2 | 2 | 15 | 12-47 | 8 |

# ავთანდილ ხურციძე ინტერნაციონალური ქამრის მფლობელია



ქართველმა მოკრივემ, ავთანდილ ხურციძემ მოულოდნელად ამერიკელი ანტუან დაგლასი დაამარცხა და ვბო-ს ვერსიით ინტერნაციონალური ქამრის მფლობელი გახდა. ეს ფაქტი მოულოდნელობა იმიტომ იყო, რომ დაგეგმილი ბრძოლები ორივე მათგანს ჩაეშალა და ერთმანეთს სწორედ ამის გამო შეხვდნენ – დაგლასს ქამრისთვის ავსტრალიელ კოულმენთან უნდა ებრძოლა.

მეორეც ის, რომ ამერიკელი მოკრივე ფავორიტად ითვლებოდა, რადგან ჩატარებული 20 ბრძოლიდან 19 მოგება და 1 ფრე ჰქონდა. ქართველმა დაგლასს პირველი მარცხი აგემა.

ხურციძე ფიზიკური მონაცემებით ჩამორჩებოდა მეტოქეს, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია რინგზე მისთვის უკეთესი პოზიცია მიეღო და მეტოქე ორივე ხელით დაებომბა. დაბალი, მაგრამ აგრესიული ქართველი ჩვეულ სტილში „მუშაობდა". დაგლასი ცდილობდა შორი დისტანციიდან ეჩხუბა და გრძელი ხელების უპირატესობა გამოეყენებინა, მაგრამ ხურციძის შეჩერებას ვერ ახერხებდა.

მესამე რაუნდში დაგლასი პირველად აღმოჩნდა ნოკდაუნში, მეშვიდე რაუნდში ხურციძის მარცხენა ჰუკმა მეორედ დასცა ამერიკელი რინგზე, მეცხრე რაუნდში დაგლასს სულზე მიუსწრო გონგმა, მაგრამ ჯობდა მეათე რაუნდში არ გამოსულიყო რინგზე – სულ რაღაც 30 წამში ხურციძემ დარტყმების ისეთი სერია მიაყენა, მსაჯმა ბრძოლა ვადაზე ადრე შეწყვიტა.

ამერიკულ მედიაში მინი მაიკ ტაისონად შერაცხულმა ხურციძემ მატჩის შემდეგ ასეთი კომენტარი გააკეთა:

– ყველას ვანახე, რა შემიძლია. ძალიან ბევრს ვვარჯიშობ და მინდა, მომავალშიც რაც შეიძლება, მეტი მნიშვნელოვანი ბრძოლების ჩატარების საშუალება მომცენ.

# შედეგები

6 მარტი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

კრ.პალასი-ლივერპული ................ 1:2
ვესტ ბრომვიჩი-მანჩესტერი .......... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლესტერი | 29 | 17 | 9 | 3 | 52-31 | 60 |
| 2.ტოტენჰემი | 29 | 15 | 10 | 4 | 51-24 | 55 |
| 3.არსენალი | 29 | 15 | 7 | 7 | 46-30 | 52 |
| 4.სიტი | 28 | 15 | 5 | 8 | 52-31 | 50 |
| 5.ვესტ ჰემი | 29 | 13 | 10 | 6 | 45-33 | 49 |
| 6.მანჩესტერი | 29 | 13 | 8 | 8 | 37-27 | 47 |
| 7.ლივერპული | 28 | 12 | 8 | 8 | 43-37 | 44 |
| 8.სტოკი | 29 | 12 | 7 | 10 | 31-34 | 43 |
| 9.საუთჰემპტონი | 29 | 11 | 8 | 10 | 36-29 | 41 |
| 10.ჩელსი | 29 | 10 | 10 | 9 | 43-39 | 40 |
| 11.ვესტ ბრომვიჩი | 29 | 10 | 9 | 10 | 30-36 | 39 |
| 12.ევერტონი | 28 | 9 | 11 | 8 | 51-39 | 38 |
| 13.უოტფორდი | 29 | 10 | 7 | 12 | 29-30 | 37 |
| 14.ბორნმუთი | 29 | 9 | 8 | 12 | 35-45 | 35 |
| 15.კრ.პალასი | 29 | 9 | 6 | 14 | 32-39 | 33 |
| 16.სუონსი | 29 | 8 | 9 | 12 | 28-37 | 33 |
| 17.სანდერლენდი | 29 | 6 | 7 | 16 | 35-54 | 25 |
| 18.ნორვიჩი | 29 | 6 | 6 | 17 | 31-54 | 24 |
| 19.ნიუკასლი | 28 | 6 | 6 | 16 | 28-53 | 24 |
| 20.ასტონ ვილა | 29 | 3 | 7 | 19 | 22-55 | 16 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ბეტისი-გრანადა .......................... 2:0
ეიბარი-ბარსელონა ...................... 0:4
სოსიედადი-ლევანტე ..................... 1:1
ხიხონი-ბილბაო ........................... 0:2
ვალენსია-ატლეტიკო ..................... 1:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 28 | 23 | 3 | 2 | 78-22 | 72 |
| 2.ატლეტიკო | 28 | 20 | 4 | 4 | 42-12 | 64 |
| 3.რეალი | 28 | 18 | 6 | 4 | 81-27 | 60 |
| 4.ვილიარეალი | 28 | 15 | 8 | 5 | 33-19 | 53 |
| 5.სევილია | 28 | 12 | 9 | 7 | 39-29 | 45 |
| 6.ბილბაო | 28 | 13 | 5 | 10 | 44-36 | 44 |
| 7.სელტა | 28 | 12 | 6 | 10 | 40-51 | 42 |
| 8.ეიბარი | 28 | 10 | 6 | 12 | 40-40 | 36 |
| 9.სოსიედადი | 28 | 9 | 8 | 11 | 37-39 | 35 |
| 10.ბეტისი | 28 | 8 | 10 | 10 | 26-36 | 34 |
| 11.ვალენსია | 28 | 8 | 10 | 10 | 33-33 | 34 |
| 12.მალაგა | 28 | 8 | 9 | 11 | 27-28 | 33 |
| 13.დეპორტივო | 28 | 6 | 15 | 7 | 37-39 | 33 |
| 14.ლას პალმასი | 28 | 8 | 6 | 14 | 30-40 | 30 |
| 15.ესპანიოლი | 27 | 8 | 4 | 15 | 26-53 | 28 |
| 16.ხეტაფე | 28 | 7 | 6 | 15 | 27-45 | 27 |
| 17.რაიო | 27 | 6 | 8 | 13 | 37-58 | 26 |
| 18.გრანადა | 28 | 7 | 5 | 16 | 29-53 | 26 |
| 19.ხიხონი | 28 | 6 | 6 | 16 | 30-50 | 24 |
| 20.ლევანტე | 28 | 5 | 6 | 17 | 26-52 | 21 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ალავესი-სარაგოსა ......................... 0:0
ალკორკონი-ხიმნასტიკი ................ 1:1
პონფერადინა-ნუმანსია ................ 1:0
ტენერიფე-ალმერია ...................... 0:0
ვალიადოლიდი-უესკა .................... 0:1
ალბასეტე-ლეგანესი ..................... 0:3

**გერმანია. ბუნდესლიგა**

მაინცი-დარმშტადი ....................... 0:0
ჰამბურგი-ჰერტა ........................... 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 25 | 20 | 3 | 2 | 59-13 | 63 |
| 2.დორტმუნდი | 25 | 18 | 4 | 3 | 59-25 | 58 |
| 3.ჰერტა | 25 | 12 | 6 | 7 | 33-26 | 42 |
| 4.შალკე | 25 | 12 | 5 | 8 | 37-32 | 41 |
| 5.მაინცი | 25 | 12 | 4 | 9 | 34-30 | 40 |
| 6.გლადბახი | 25 | 12 | 3 | 10 | 50-42 | 39 |
| 7.ვოლფსბურგი | 25 | 10 | 7 | 8 | 38-32 | 37 |
| 8.ლევერკუზენი | 25 | 10 | 6 | 9 | 36-33 | 36 |
| 9.ინგოლშტადტი | 25 | 8 | 8 | 9 | 19-26 | 32 |
| 10.ჰამბურგი | 25 | 8 | 7 | 10 | 30-34 | 31 |
| 11.შტუტგარტი | 25 | 9 | 4 | 12 | 40-49 | 31 |
| 12.კიოლნი | 25 | 7 | 9 | 9 | 26-33 | 30 |
| 13.ვერდერი | 25 | 7 | 6 | 12 | 35-48 | 27 |
| 14.აუგსბურგი | 25 | 6 | 8 | 11 | 30-38 | 26 |
| 15.დარმშტადტი | 25 | 6 | 8 | 11 | 25-38 | 26 |
| 16.აინტრახტი | 25 | 5 | 9 | 11 | 28-40 | 24 |
| 17.ჰოფენჰაიმი | 25 | 4 | 9 | 12 | 26-42 | 21 |
| 18.ჰანოვერი | 25 | 5 | 2 | 18 | 22-46 | 17 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ბოხუმი-არმინია ........................... 2:2
ბრაუნშვაიგი-დუისბურგი ............. 1:1

***დუისბურგის გოლი გიორგი ჭანტურიამ გაიტანა***

ჰაიდენჰაიმი-ზ.პაული .................. 2:0

**იტალია. სერია ა**

ტორინო-ლაციო ............................ 1:1
ბოლონია-კარპი ............................ 0:0
ჯენოა-ემპოლი ............................. 1:0
ატალანტა-იუვენტუსი .................. 0:2
სასუოლო-მილანი .......................... 2:0
ფროზინონე-უდინეზე .................... 2:0
ინტერი-პალერმო .......................... 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 28 | 20 | 4 | 4 | 50-15 | 64 |
| 2.ნაპოლი | 28 | 18 | 7 | 3 | 58-23 | 61 |
| 3.რომა | 28 | 16 | 8 | 4 | 59-29 | 56 |
| 4.ფიორენტინა | 28 | 16 | 5 | 7 | 49-31 | 53 |
| 5.ინტერი | 28 | 15 | 6 | 7 | 37-26 | 51 |
| 6.მილანი | 28 | 13 | 8 | 7 | 39-30 | 47 |
| 7.სასუოლო | 28 | 11 | 11 | 6 | 36-31 | 44 |
| 8.ლაციო | 28 | 10 | 8 | 10 | 35-37 | 38 |
| 9.ბოლონია | 28 | 10 | 6 | 12 | 29-31 | 36 |
| 10.კიევო | 28 | 9 | 7 | 12 | 33-39 | 34 |
| 11.ემპოლი | 28 | 9 | 7 | 12 | 33-41 | 34 |
| 12.ტორინო | 28 | 8 | 9 | 11 | 34-35 | 33 |
| 13.სამპდორია | 28 | 8 | 7 | 13 | 42-46 | 31 |
| 14.ჯენოა | 28 | 8 | 7 | 13 | 28-32 | 31 |
| 15.ატალანტა | 28 | 7 | 9 | 12 | 26-33 | 30 |
| 16.უდინეზე | 28 | 8 | 6 | 14 | 24-42 | 30 |
| 17.პალერმო | 28 | 7 | 6 | 15 | 28-50 | 27 |
| 18.ფროზინონე | 28 | 7 | 5 | 16 | 28-53 | 26 |
| 19.კარპი | 28 | 4 | 10 | 14 | 24-44 | 22 |
| 20.ვერონა | 28 | 2 | 12 | 14 | 24-48 | 18 |

**იტალია. სერია ბ**

მოდენა-ლივორნო ........................ 1:0

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

მარსელი-ტულუზა ....................... 1:1
რენი-ნანტი .................................. 4:1
ლიონი-გენგამი ............................ 5:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 29 | 23 | 5 | 1 | 68-15 | 74 |
| 2.მონაკო | 29 | 13 | 12 | 4 | 42-32 | 51 |
| 3.ლიონი | 29 | 13 | 6 | 10 | 45-31 | 45 |
| 4.ნიცა | 29 | 12 | 8 | 9 | 41-33 | 44 |
| 5.რენი | 29 | 11 | 11 | 7 | 40-34 | 44 |
| 6.კაენი | 29 | 13 | 4 | 12 | 32-38 | 43 |
| 7.სტ.ეტიენი | 29 | 12 | 6 | 11 | 33-32 | 42 |
| 8.ნანტი | 28 | 10 | 10 | 8 | 27-28 | 40 |
| 9.ანჟე | 29 | 10 | 9 | 10 | 29-29 | 39 |
| 10.ლორიანი | 29 | 9 | 11 | 9 | 40-41 | 38 |
| 11.ბასტია | 28 | 11 | 5 | 12 | 27-29 | 38 |
| 12.ბორდო | 29 | 9 | 11 | 9 | 38-44 | 38 |
| 13.მარსელი | 28 | 8 | 13 | 7 | 38-29 | 37 |
| 14.ლილი | 29 | 8 | 13 | 8 | 23-23 | 37 |
| 15.მონპელიე | 29 | 10 | 6 | 13 | 36-33 | 36 |
| 16.რეიმსი | 29 | 8 | 8 | 13 | 32-41 | 32 |
| 17.გენგამი | 29 | 8 | 8 | 13 | 34-45 | 32 |
| 18.გაზელეკი | 28 | 6 | 11 | 11 | 29-39 | 29 |
| 19.ტულუზა | 29 | 4 | 11 | 14 | 28-48 | 23 |
| 20.ტრუა | 29 | 2 | 8 | 19 | 21-59 | 14 |

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

ნაიმეგენი-ჰერაკლესი .................. 1:0
ალკმაარი-ექსელსიორი ................ 2:0
როდა-ვიტესი ............................... 1:2
ტილბურგი-აიაქსი ........................ 0:4
ფეინოორდი-კამბური ................... 3:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ბოავიშტა-ნასიონალი .................. 0:1
სეტუბალი-მორეირენსე ............... 0:1
ტონდელა-აროუკა ........................ 0:1
მადეირა-ბელენენსეში .................. 0:0
აკადემიკა-გიმარაეში ................... 2:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

უფა-მორდოვია ............................ 1:1
ტერეკი-ლოკომოტივი .................. 2:1
ცსკა-სპარტაკი ............................. 1:0

**შოტლანდია. ასოციაციის თასი**

სელტიკი-მორტონი ....................... 3:0
ჰიბერნიანი-ინვერნესი ................. 1:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

სიონი-ვადუცი ............................. 2:0
იანგ ბოიზი-ლუცერნი ................. 5:2

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ალტახი-რაპიდი ........................... 0:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

პანთრათიკოსი-პაოკი .................. 2:1
ქსანთი-კალონი ............................ 0:0
ვერია-ლევადიაკოსი ..................... 0:0
პანათინაიკოსი-ატრომიტოსი ....... 2:0

**თურქეთი. უპერლიგა**

ქაშიმფაშა-ანტალია ..................... 2:1
გალათასარაი-ბასაკშეჰირი .......... 3:3
აკჰისარი-ფენერბახჩე .................. 0:3
ქონია-ტრაბზონი ......................... 2:0

**ჩეხეთი.**

**სინოტ ლიგა**

ლიბერეცი-სლოვაცკო .................. 0:0
ბანიკი-დუკლა ............................. 1:2
სპარტა-იაბლონეცი ..................... 2:1
პლზენი-პრჟიბრჟამი ................... 4:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

გდანსკი-იაგელონია ..................... 5:1
ლეხი-კრაკოვია ........................... 2:1

**დანია. სუპერლიგა**

ესბიერგი-რანდერსი .................... 1:0
სონდერიისკე-ბრონდბიუ ............ 3:1
ორხუსი-კოპენჰაგენი .................. 0:0

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# ამერიკელმა ძმებმა ლატარიაში 290 მილიონი მოიგეს




ჯეიმს სტოკლასი, მოსამართლე ამერიკის პენსილვანიის შტატიდან, ლატარიის გამარჯვებული გახდა, რომლის ჯეკ-პოტმა 291,4 მილიონ დოლარს გადააჭარბა. იმავე გათამაშებაში მონაწილეობდა მისი ძმა ბობი, მაგრამ მისი მოგება ბევრად უმნიშვნელო – შვიდი დოლარი აღმოჩნდა.

67 წლის ჯეიმსმა ლატარიის ბილეთი ფლორიდაში შეიძინა, სადაც ის შვებულებას მეგობრებთან ერთად ატარებდა. მან სადილობის დროს დაინახა ლატარიის მომგებიანი ნომრები და მიხვდა, რომ ჯეკ-პოტი მოხსნა.

– სიხარულისგან ვღრიალებდი და რესტორანში ყველას გავუმასპინძლდი, – განაცხადა იღბლიანმა მოსამართლემ.

მოგებული თანხის ის ორი ახლობლისთვის გაზიარებას აპირებს, რომელთან ერთადაც მან იყიდა ბილეთები. იმის გამო, რომ ჯეიმსმა გადაწყვიტა სრული თანხა ახლავე მიიღოს და არა ნაწილ-ნაწილ, ლატარიის გათამაშების წესებიდან გამომდინარე, მოგებული თანხის ოდენობა 191 მილიონამდე მცირდება, ხოლო გადასახადების გადახდის შემდეგ თითოეული მეგობარი დაახლოებით 40 მილიონ დოლარს მიიღებს.

# ავსტრალიის პრემიერი გეიაღლუმს დაესწრო



ავსტრალიის ხელისუფლების მეთაურმა მალკოლმ ტერნბულმა სიდნეის ყოველწლიური გეიფესტივალი მარდი გრა მოინახულა. ის ისტორიაში პირველი მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელი გახდა, რომელიც ამ ღონისძიებაზე მივიდა.

ამავე დროს, თავად აღლუმის მსვლელობაში ტერნბულს მონაწილეობა არ მიუღია. გარდა ხელისუფლების თავმჯდომარისა, გეიაღლუმს ასევე ესწრებოდა ოპოზიციური ლეიბორისტული პარტიის მეთაური ბილ შორტენი, რომელიც, პრემიერისგან განსხვავებით, გეიაღლუმის მსვლელობას შეუერთდა.

ადგილობრივი მედიის ცნობით, ავსტრალიის პრემიერ-მინისტრი ერთსქესიანთა ქორწინებასთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარების მომხრეა, ხოლო თავის წინასაარჩევნო დაპირებაში შორტენი, არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, აცხადებდა, რომ 100 დღის განმავლობაში ერთსქესიანთა ქორწინებას დააკანონებდა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*


**წვერსაპარსი PHILIPS + საჩუქარი ტრიმერი**
**50 ლარი 90-ის ნაცვლად**

- ✓ მოძრავი პირები, რომლებიც იმეორებს თქვენი სახის კონტურს;
- ✓ მოქნილი ერგონომიკა ოპტიმალური ხმარებისთვის;
- ✓ სამუშაო ძაბვა 220 ვტ;
- ✓ გასაწმენდი ჯაგრისი;
- ✓ აკუმულატორი;
- ✓ მოჰყვება დამტენი;
- ✓ დატენვის ინდიკატორი;
- ✓ ბაკების გასასწორებელი;
- ✓ ორმაგი უჟანგავი რკინის პირი;
- ✓ მუშაობს შიდა აკუმულატორზე;
- ✓ ტრიმერი ბაკების და ულვაშების გასასწორებლად;



**სმენის აპარატი 45 ლარად 90 ლარის ნაცვლად**

1.ხმის გაძლიერება 50дБ.–120
2.ხმის რეგულირება.
3.ერგება ორივე ყურზე.
4.პატარა,მსუბუქი,შეუმჩნეველი.
5.კომპლექტშია:მოწყობილობა 1 ც
რბილი რეზინები ყურებისთვის 3ც.
ელემენტები LR41 –
ჩასადები ყუთი,ინსტრუქცია.



**შეიძინეთ Mozer-1800 – პროფესიონალი გერმანული თმის საკრეჭი!**
**50 ლარად 95 ლარის ნაცვლად**




MADE IN GERMANY

ძრავი: 6 000 ბრ/წთ
ხმაურის დაბალი დონე;
საწმენდი ჯაგრისი, დანების ზეთი;
ხუთი საკრეჭი თავი
მასალა - უჟანგავი ფოლადი.

მაღაზია Stop&Shop
დარეკეთ წინასწარ! ☎: 2-182-186.
მის: ვაჟა-ფშაველას №79.
579 885 996


# ჩინელი შვილს ხანგრძლივად მეცადინეობას აიძულებდა

ჩინეთის ცენტრალურ ნაწილში მდებარე ქალაქ ჩუნცინში დედა ცხრა წლის შვილს აიძულებდა, რომ დღე-ღამეში 16 საათი ემეცადინა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ჩინური სააგენტო ავრცელებს.

სკოლიდან დაბრუნებული ბავშვი, რომლის ვინაობაც არ სახელდება, ასრულებდა საშინაო დავალებას, მეცადინე-



ობდა კალიგრაფიაში, ცურვასა და მათემატიკაში. იმისთვის, რომ ეს ყოველივე მოესწრო, ის ყოველ დილით ხუთ საათზე დგებოდა და ექვსი საათიდან იწყებდა დამატებით მეცადინეობას. ბავშვს გაკვეთილების სწავლის დასრულების ნებართვას მხოლოდ საღამოს 10 საათზე რთავდნენ, რის შემდეგაც ის დასაძინებლად წვებოდა.

ბავშვის დედამ ლიუმ (მისი მხოლოდ გვარია ცნობილი) შვილის აღზრდის ასეთი მოდელი თავისი მამისგან გადაიღო, რომელიც ბავშვობაში მას ასევე ეპყრობოდა.

– თუ მას მომავალში ადვილი ცხოვრების უზრუნველყოფა სურს, ახლავე უნდა იშრომოს მთელი გულმოდგინებით, – განმარტა აღზრდის საკუთარი მეთოდი ბავშვის დედამ.

ლიუს თქმითვე, ბავშვის დღის რეჟიმი მისი განვითარებისკენ არის მიმართული. პიანინოზე დაკვრის სწავლა, დედის თქმით, ბავშვს არტისტიზმის განვითარებასა და მომავალში სასურველი გოგონას პოვნაში დაეხმარება. მათემატიკაში მეცადინეობა ლოგიკურ აზროვნებას განუვითარებს. ქალს არ მიაჩნია, რომ შვილის მიმართ მეტისმეტ სიმკაცრეს იჩენს, ვინაიდან ეს ყოველივე მასვე წაადგება.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# საქესთან მჯდომმა ძაღლმა ავარია მოახდინა



ამერიკის მინესოტას შტატში ძაღლი გახდა ავტოავარიაში დამნაშავე. ამ ინფორმაციას ადგილობრივი ტელეარხი ავრცელებს. შემთხვევის თვითმხილველმა დააფიქსირა სატვირთო მანქანა, რომელიც მსუბუქ მანქანას დაეჯახა. მძღოლის ადგილიდან ფანჯარაში თეთრი ფერის ლაბრადორ-რეტრივერის ჯიშის ძაღლი იხედება.

როგორც შემდგომში გაირკვა, მძღოლმა სატვირთო მანქანა გააჩერა, სიჩქარის ბერკეტი თავისუფალ სვლაზე დატოვა, თავად კი მაღაზიაში შევიდა.

იმ დროს, როდესაც მანქანა უმეთვალყურეოდ იყო დარჩენილი, ლაბრადორმა რაღაცნაირად მოახერხა, მანქანა მოძრაობაში მოეყვანა, და ის დაგორდა, სანამ ხესა და იქვე მდგომ მსუბუქ მანქანას არ დაეჯახა.

აღნიშნული ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა.

# ბრიტანელსა და ფრანგს შიშველი ფოტოები დაპატიმრებად დაუჯდათ




ბრიტანელი ადამ ბერტონი და ფრანგი ერიკ კსავიე მარიეკი პერუს უძველეს ქალაქ მაჩუ-პიკჩუში შიშველ მდგომარეობაში სურათების გადაღებისთვის დააპატიმრეს. ამ ინფორმაციას ადგილობრივი მასმედია ავრცელებს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 23 წლის დიდი ბრიტანეთის და 28 წლის საფრანგეთის მოქალაქე დანაშაულის ადგილზე დააპატიმრეს, იმ მომენტში, როდესაც ისინი ჯერ ისევ შიშვლები იყვნენ.

ბერტონსა და მარიეკს მორალის ნორმების დარღვევის ბრალდება ემუქრებათ. ადგილობრივმა პოლიციამ დაკავებულების მობილური ტელეფონების ჩანაწერები შეისწავლა და სხვა ტურისტების გაფრთხილების მიზნით ისინი გამოაქვეყნა.

ჩვენს საყვარელ **გულიკო ბალაძეს**
ვულოცავთ დაბადების დღეს!
ვუსურვებთ
ჯანმრთელობას,
მედნიერებას,
წარმატებას
ოჯახთან ერთად.
**„ახალი თაობა“**



# ასტროპროგნოზი
## 8 მარტისათვის



**ვერძი** – ნუ იქნებით აგრესიული. ეცადეთ, მხოლოდ დადებითი ენერგიით დაიმუხტოთ. ნუ იწუწუნებთ. **კურო** – წინააღმდეგობრივი დღეა. ამიტომ ის ადრევე დაგეგმეთ. იზრუნეთ სულიერ სიმშვიდესა და წონასწორობაზე. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **ტყუპები** – შემთხვევით ნაცნობებს არ ენდოთ. სხვისი ზეგავლენა თქვენს პირად ცხოვრებაზე ნეგატიური იქნება. **კირჩხიბი** – თქვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ფინანსური მდგომარეობა გიუარესდებათ. უახლოეს მომავალში არანაირი ფინანსური ოპერაცია არ განახორციელოთ. **ლომი** – ჰარმონიული დღეა. ახალი ნაცნობობა სასარგებლო იქნება. დაკისრებული მოვალეობა პირნათლად შეასრულეთ. **ქალწული** – ცდუნებას ნუ აჰყვებით და შემოთავაზებებს არ ენდოთ. მოულოდნელი ინფორმაციის გამო გეგმების შეცვლა მოგიწევთ. **სასწორი** – სამოგზაუროდ წასასვლელად შესაფერისი პერიოდია. საინტერესო ადამიანთან შეხვედრა ახალი შთაბეჭდილებებითა და დადებითი ემოციებით აგავსებთ. **ღრიანკალი** – დღის პირველ ნახევარში ბევრი წვრილმანი საქმე გაქვთ. არანაირი კაპიტალდაბანდება არ არის რეკომენდებული. **მშვილდოსანი** – კრიტიკული დღეა. თავს დასვენების საშუალება მიეცით. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს. **თხის რქა** – აქტიური დღეა. შემოქმედი ადამიანებისთვის წარმატებული პერიოდი იწყება. ერიდეთ შემთხვევით ნაცნობობას. **მერწყული** – კეთილისმყოფელი დღეა თვითრეალიზაციისათვის. ნებისმიერი წამოწყება წარმატებული იქნება და ფინანსურ მდგომარეობას გაგიუმჯობესებთ. **თევზები** – ზომიერება დაიცავით. სასურველსა და რეალურს შორის ზღვარი მოძებნეთ. იმ საქმეს ხელს ნუ მოჰკიდებთ, რომელშიც კარგად არ ერკვევით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი

**შვეულად:** 1. თანამედროვე ქართველი პოეტი; 2. მსხლის მოყვანილობის ზეთით მდიდარი ნაყოფის მქონე სუბტროპიკული მცენარე; 3. საერთაშორისო საინფორმაციო კომპიუტერული ქსელი; 4. ცეცხლსასროლი იარაღის მწარმოებელი კომპანია; 5. ამერიკული საიუველირო ფირმა; 9. კუნძულოვანი სახელმწიფო კარიბის ზღვაში; 10. ქართული კონიაკი; 14. ამერიკელი ზანგების სასულიერო ჰიმნი; 15. ქუჩის ტელეფონ-ავტომატი; 16. სამხედრო-საზღვაო პოლიგონი საქართველოში; 19. თავფეხიანთა კლასის მოლუსკი, ძვირფასი საკვები პროდუქტი; 20. საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი; 21. გემით ტვირთის გადახიდვის საფასური.

**თარაზულად:** 6. ქართული ბალეტ „ოტელოს“ მუსიკის ავტორი; 7. მეხსიერების ნაწილობრივი ან სრული დაკარგვა; 8. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ფირმა საქართველოში; 11. ტერიტორიული ერთეული შვეიცარიაში; 12. უზენაესი ღვთაება სკანდინავიურ მითოლოგიაში; 13. დასპირტული, არომატიზებული ღვინო; 17. ცურვის ერთ-ერთი სტილი; 18. მხარე გერმანიაში; 22. აჭარული ხის სახლი; 23. იტალიელი მოდელიორი; 24. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 25. ჩინური ნავთობკომპანია.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. კალაპოტი; 7. პასტელი; 8. კალათა; 10. კრამიტი; 12. ირემი; 13. კარტი; 14. კომანდორი; 18. მაგმა; 20. სენატი; 23. ტაროსი; 24. რატი; 25. მერიმე; 26. ნუგა; 27. სტელაჟი.

**შვეულად:** 1. პარადი; 2. ცირკი; 3. ბრინჯი; 4. სტატია; 6. აპრიორი; 9. კრემი; 11. ორაგული; 15. ნეკროლოგი; 16. ლემური; 17. კარამელი; 19. ალაყაფი; 21. მარკეტი; 22. ვარანი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. მანერა; 2. ერეკლე; 3. აგა; 4. ტალანტი; 5. იო; 6. ჰიუსტონი; 7. მერილ; 8. რემა; 9. ჰიმნი; 10. კოლი; 11. ინდოლი; 12. იდეალი; 13. ჰიოგო; 14. იფი; 15. იდეა; 16. მედალი; 17. ბოი; 18. რადიაცია; 19. კომეტა; 20. აგნი; 21. დოინა; 22. კრივი; 23. ოაჰუ; 24. კოხი; 25. კანტი; 26. ონო; 27. კლარნეტი; 28. ალია; 29. ლაგტინგი; 30. ტერაკოტა; 31. ნიელო; 32. ტახი.

**სურათებზე:** ჯენიფერ ენისტონი; ტომი ბრედი.

## „ვანოს შოუს“ მუსიკოსი უმძიმეს დაავადებას ებრძვის



ვანოს შოუს მუსიკოსი გირშელ ჯავახიშვილი უმძიმეს დაავადებას – სიმსივნეს ებრძვის. 35 წლის მუსიკოსი 5 წლის განმავლობაში ვანო ჯავახიშვილის შოუში კლავიშზე თამუნა ლეკვეიშვილთან ერთად უკრავდა. მოგვიანებით კი კარიერის გასაგრძელებლად ამერიკაში წავიდა, თუმცა ნიუ იორკში ჩასულს ჯანმრთელობა გაუუარესდა, სადაც ძვლის კიბო დაუდგინდა.

გირშელის დასახმარებელი ინფორმაცია და მუსიკოსის სპეციალური ვიდეომიმართვა ინტერნეტში მომღერალმა ია ჩანტლაძემ გაავრცელა:

– ჩემო საყვარელო მეგობრებო, გთხოვთ, დავეხმაროთ ძალიან კარგ ადამიანს, ძალიან ნიჭიერ მუსიკოსს, კარგ მეგობარს, კიბოს დამარცხებაში. ვისაც რამდენი შეგვიძლია. მიიტანეთ გულთან ახლოს. ყოველი ადამიანის გულისხმიერება ახლა გირშელისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მადლობა.

გირშელმა საქართველო 2010 წელს დატოვა და კარიერის გასაგრძელებლად ამერიკაში წავიდა. ნიუ იორკში ჩასულს დაუდგინდა ძვლის კიბო. მუსიკოსმა უკვე ჩაიტარა ქიმიოთერაპიის კურსები, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. სამწუხაროდ, დაავადება კიდევ უფრო გართულდა და გირშელს მასთან გამკლავება მარტოს არ შეუძლია. მან სპეციალური ვიდეომიმართვა გაავრცელა, სადაც დახმარებას ითხოვს, ვიდეორგოლში მოხვდა კადრები, სადაც გირშელის შერყეული ჯანმრთელობა და მკურნალობის სხვადასხვა ეტაპებია გაერთიანებული.

## „იქს ფაქტორის“ ჩაწერები დაიწყო

მუსიკალური შოუს „იქს ფაქტორის“ მესამე სეზონის ჩაწერები დაიწყო. პირველი ჩაწერა თბილისის საკონცერტო დარბაზში უკვე გაიმართა. როგორც შოუს პროდიუსერები ირწმუნებიან, წელს ყველაზე მაგარი სეზონი იქნება, რადგან ქართველ მონაწილეებს უცხოელი კონკურსანტებიც დაემატნენ.

– „იქს ფაქტორის“ მესამე სეზონში ბევრი სიახლეა მოსალოდნელი. პრეკასტინგზე წელსაც საქართველოს მასშტაბით პროექტში მონაწილეობის ძალიან ბევრი მსურველი მოვიდა. შემსრულებლების ძალიან კარგი ნაკადია. საქართველოს იქს ფაქტორს საერთაშორისო გამოხმაურებაც ჰქონდა და წელს პროექტში მონაწილეობის სურვილი სხვადასხვა ქვეყნიდანაც გამოთქვეს. ჩვენ მათგან რამდენიმე საინტერესო მომღერალი შევარჩიეთ.

რაც შეეხება წამყვანებს და მენტორებს, წელსაც, მეორე ეტაპზე გადასული კონკურსანტებისგან 4 კატეგორია დაკომპლექტდება: ბიჭების, გოგონების, 17-წლამდე და ჯგუფების. სიახლეა წამყვანებთან დაკავშირებითაც – რუსკა მაყაშვილის პარტნიორი იქნება სატელევიზიო სივრცისთვის აქამდე უცნობი ბიჭი, რომლის ვინაობას ჯერ არ ვიტყვი. კონკურსანტებს კი, წელსაც თათუკა და გიგო გაამხნევებენ. რა თქმა უნდა, სიახლეა მენტორების შემადგენლობაშიც. სოფო ნიჟარაძე და გიორგი გაბუნია წელსაც იქნებიან პროექტის ჟიურიში. მათ დაემატებათ ორი ახალი წევრი ნიკა გვარამია და ნინა სუბლატი. ასე რომ, ამ სეზონზე მაყურებელს ბევრი სიახლე და ნამდვილად მაგარი შოუ ელის, – განაცხადა პროექტის პროდიუსერმა გიორგი ხაბურზანიამ.




მუსიკალური მეგაშოუს ჩაწერები მთელი მარტის განმავლობაში გაგრძელდება, სატელევიზიო ეთერში კი „იქს ფაქტორი“ აპრილიდან გავა.

მუსიკალური შოუს პირველი სეზონის გამარჯვებული თამთა გოდუაძის კონკურსანტი თორნიკე ყიფიანი გახდა, მეორე სეზონი გიორგი გაბუნიას კონკურსანტმა გიორგი ნაკაშიძემ მოიგო. ვინ გახდება მესამე სეზონის გამარჯვებული, ამას მაყურებელი გადაწყვეტს.

## ანდრეი მაკარევიჩი თბილისში სპეციალური პროგრამით ჩამოდის



9 მარტს ალრეტვიჟენის მოწვევით, თბილისში ცნობილი მუსიკოსი და მომღერალი ანდრეი მაკარევიჩი კონცერტს გამართავს. მისი კონცერტი ჯერ კიდევ დეკემბერში იყო დაგეგმილი, თუმცა მაშინ კონცერტი ჩაიშალა. მიზეზი გაუთვალისწინებელი პრობლემები გახდა:

– სამწუხაროდ, სხვადასხვა ქალაქებიდან გართულებული ფრენების გამო, 2 დეკემბერს ანდრეი მაკარევიჩის ბენდის ნაწილის თბილისში დროულად ჩამოყვანა ვერ ხერხდება. შეიქმნა რისკი, რომ ლაივი არ შედგეს ან იყოს არასრულყოფილი. შესაბამისად, იძულებულები ვართ, მაკარევიჩის მენეჯერებთან შეთანხმებით, შოუ გადავდოთ 2016 წლის 9 მარტისთვის. ეს უახლოესი შესაძლო თარიღია, რომელზეც ორივე მხარემ მოვილაპარაკეთ.“

მოლაპარაკება ძალაში დარჩა და თბილისის საკონცერტო დარბაზში ანდრეი მაკარევიჩი თავის ბენდთან ერთად დაუკრავს. საკონცერტო პროგრამაში წარმოდგენილი იქნება „მაშინა ვრემენის“ ძველი კომპოზიციები, თბილისისთვის კი მუსიკოსმა ახალი ჰიტებით სპეციალური შოუ დადგა.

ანდრეი მაკარევიჩის კონცერტზე დასასწრები ბილეთის ფასი 30-75 ლარი ღირს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

### სპორტი

## ლადო ბურდული: „ჩვენს კლუბში მენეჯმენტი სწორად მუშაობს“

### ბოლნისის „სიონი“ საქართველოს მასშტაბითაც პირველ ადგილზეა



ქართულ საფეხბურთო კლუბებს ძალიან ხშირად ფინანსების არამიზნობრივ ხარჯვაში ედავებიან. ეს გასაკვირიც არ არის – საბიუჯეტო კლუბებს თავიანთ ნებაზე ჰყავს მიშვებული ფინანსების განკარგვა. თუმცა, როგორც ჩანს, არსებობენ გამონაკლისებიც და ერთ-ერთი მათგანი ბოლნისის სიონია.

ნაციონალური ბიზნეს-რეიტინგების კავშირმა ბოლნისურ კლუბს საქართველოს მასშტაბით, ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის მიხედვით პირველი ადგილი და, შესაბამისად, ოქროს კატეგორია მიანიჭა.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, რომ სიონი ფასდება: გასულ წელს ბოლნისური კლუბი, საქართველოს მასშტაბით მესამე იყო, ქვემო ქართლის რეგიონში – პირველი, წლევანდელი მონაცემებით კი, სიონი საქართველოს მასშტაბითაც პირველ ადგილზეა. პლუს, სიონმა ოქროს რეიტინგის კატეგორია მიიღო ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის მიხედვით, კომპონენტში – ჯამური ადგილი.

ბიზნეს-რეიტინგების კავშირის ხელმძღვანელობამ წერილი გაუგზავნა კლუბის სპორტულ დირექტორ ვლადიმერ ბურდულს:

– ვაფასებთ რა სათანადოდ თქვენს მიღწევებს, პატივი გვაქვს, მოგიწვიოთ ნაციონალური ბიზნეს-რეიტინგის კავშირის მონაწილე ქვეყნების ეკონომიკის ლიდერების დაჯილდოების 32-ე ცერემონიალზე, რომელიც შედგება 2016 წლის 27 მაისს, ქალაქ ბათუმში, კულტურისა და ხელოვნების ცენტრში, აზერბაიჯანის, ბელარუსის, საქართველოს, ყაზახეთის, რუსეთის, უზბეკეთისა და უკრაინის საწარმოების მონაწილეობით.

**ვლადიმერ ბურდული:**

– უკვე მეორე წელია, რაც ნაციონალური ბიზნეს-რეიტინგების კავშირი, ბოლნისის სიონის მენეჯმენტის მუშაობას დადებითად აფასებს. გასულ წელს, ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის ანალიზით – კომპონენტში „დანახარჯი დასაქმებულებზე“ სიონმა მესამე ადგილი დაიკავა საქართველოს მასშტაბით, წელს კი პირველი ადგილი ავიღეთ და ოქროს კატეგორია მოგვენიჭა. შარშანდელის მსგავსად, რეგიონში წელსაც პირველები ვართ და ოქროს კატეგორიის რეიტინგი მივიღეთ „ჯამურ ადგილში“ მიღებული ქულებით.

ბევრი საუბრობს, რომ ქართულ სპორტში თანხები არასწორად იხარჯებოდა, მაგრამ კიდევ ერთხელ დავამტკიცეთ, რომ ჩვენს კლუბში ყველაფერი პირიქითაა და მენეჯმენტი სწორად მუშაობს.

ნაციონალური ბიზნეს-რეიტინგების კავშირი, გრანდიოზულ დაჯილდოებას ბათუმში, 27 მაისს გამართავს, სადაც ჩვენი კლუბი აღნიშნულ ჯილდოს მიიღებს. ეს ჯილდო საკმაოდ პრესტიჟულია და კერძო სექტორის წარმომადგენლებს კიდევ ერთხელ მოვუწოდებ, დაინტერესდნენ ქართული ფეხბურთით. ახალი პროგრამაა და მათი მხარში დგომით და ჩვენი სწორი მუშაობით, აუცილებლად მივაღწევთ შედეგს.

## ჩემპიონთა ლიგაზე განმეორებითი

დღეს ჩემპიონთა ლიგაზე განმეორებითი მერვედფინალური მატჩების პირველი დღეა. თითქმის ორივე წყვილში ორრაუნდიანი მატჩის ბედი გადაწყვეტილია, მაგრამ ფეხბურთი იმით არის საინტერესო, რომ არავინ იცის, წინასწარ რა მოხდება.

**რეალი – რომა 1.4 4.5 8.0**

(პირველი მატჩი 2:0)

მატჩის საბოლოო ბედი თითქმის გადაწყვეტილია. მადრიდელებმა სტუმრად ორბურთიანი ჰანდიკაპი დაიბევეს და მის განიავებას დიდი „ცოდნა“ უნდა.

რეალს რომასთან საშინაო მატჩებში კი აქვს უარყოფითი ბალანსი, მაგრამ ყოველთვის ისე ხდებოდა, რომ შემდეგ ეტაპზე მაინც მადრიდული გუნდი გადიოდა. ანუ, სტუმრად ისეთი ანგარიშით უგებდა, რომ შინ უფრო მოკრძალებული შედეგის უფლებას აძლევდა თავს. ვნახოთ, რა იქნება ამჯერად.

მადრიდელებს ტრავმის გამო ქარიმ ბენზემა დააკლდება, კითხვის ნიშნის ქვეშ არის ლუკა მოდრიჩის თამაშიც, ხოლო რომაელთა შემადგენლობაში ვერ დანიელე დე როსი.

მატჩს პოლონელი მსაჯები მოემსახურებიან: შიმონ მარჩინიაკი (მთავარი), პაველ სოკოლნიცკი, ტომაშ ლისტკევიჩი (ასისტენტები), პაველ რაჩკოვსკი, ტომაშ მუსიალი (დამატებითი ასისტენტები), რადოსლავ ჩეიკა (მეოთხე).

**ვოლფსბურგი – გენტი**

**1.53 4.2 6.0**

(პირველი მატჩი 3:2)

ვოლფსბურგმა პროგრამა მინიმუმი შეასრულა, სტუმრად მოიგო, თანაც 3 ბურთის გატანა მოახერხა. ახლა გენტმა ან 2 ბურთით უნდა მოუგოს მეტოქეს, ანაც 3 და მეტი ბურთის გატანით.

სხვათა შორის, გენკს აქვს გერმანიაში მოგების გამოცდილება. აქამდე ვერდერსა და აინტრახტს მოუგო და შემდეგ ეტაპზეც გავიდა. მოახერხებს იგივეს გაკეთებას ამჯერად? ამ კითხვაზე დღევანდელი საღამო გვიპასუხებს.

არადა, ვოლფსბურგს ბელგიაში შეეძლო ამოცანის გადაჭრა, როდესაც 3 ბურთით იგებდა, მაგრამ მატჩის მიწურულს მასპინძლებმა 2 გაიტანეს და შანსი დაიტოვეს.



ვოლფსბურგს ტრავმირებული დოსტი დააკლდება, გენკს – მატონი.

მატჩზე სლოვენიელი მსაჯები არიან მივლინებულნი: დამირ სკომინა (მთავარი), იურე პრატროტნიკი, რობერტ ვუკანი (ასისტენტები), მატეი იუგი, სლავკო ვინჩიჩი (დამატებითი ასისტენტები), ბოიან ული (მეოთხე).

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## რონალდუს და მესის ფანის კამათი ტრაგიკულად დასრულდა



ფეხბურთის გულშემატკივრები მუდამ კამათობენ ლიონელ მესიზე და კრიშტიანო რონალდუზე. ეს ორი ფეხბურთელი მსოფლიოში საუკეთესოა, ამიტომ მათ ბევრი ფანი ჰყავთ მთელს მსოფლიოში. როგორც ჩანს ეს საკითხი მეტისმეტად მტკივნეულია ზოგიერთისთვის და შეიძლება ცუდად დასრულდეს.

ასე მოხდა მუმბაის მახლობლად, სადაც 24 წლის ნიგერიელმა კრიშტიანო რონალდუს ფანმა მეგობარი იმის გამო მოკლა, რომ ის მესის რონალდუზე მაღლა აყენებდა. მეგობრებს შორის შელაპარაკება სწორედ ამ საკითხს მოჰყვა და რონალდუს მოყვარულმა ნიგერიელმა თავის ამხანაგს ჭიქა ესროლა, რის შემდეგაც დანაშაულის ადგილიდან მიიმალა, თუმცა მოგვიანებით ის დააკავეს. მესის ფანი დაიჭრა და მისი გადარჩენა ვერ მოახერხეს.

## სტივ მაკლარენს ნიუკასლიდან უშვებენ



ნიუკასლი ბოლო პერიოდში ძალიან ცუდ შედეგებს აჩვენებს და გუნდი გასავარდნ ზონაშია.

შაბათს ნიუკასლმა საკუთარ მოედანზე ბორნმუტი მიიღო და დამარცხდა 1:3.

ამ შეხვედრის შემდეგ დღის წესრიგში აქტიურად დადგა გუნდის მთავარი მწვრთნელის სტივ მაკლარენის გადაყენების საკითხი.

ნიუკასლის ხელმძღვანელობა ამ თემაზე გადაწყვეტილებას მალე მიიღებს. ინგლისურ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ნიუკასლის ახალი მწვრთნელი შესაძლოა დევიდ მოიესი გახდეს, რომელიც რამდენიმე თვის წინ ესპანური რეალ სოსიედადიდან გაანთავისუფლეს.

მოიესმა გამოხატა ინტერესი ამ სამუშაოს მიმართ და განაცხადა, რომ მას სურს ინგლისურ ფეხბურთში დაბრუნება.

მოიესმა სახელი ევერტონში გაითქვა, რის შემდეგაც ის მანჩესტერ იუნაიტედის მწვრთნელიც გახდა, სადაც სრული ფიასკო განიცადა და ერთი სეზონის შემდეგ მას თანამდებობა დაატოვებინეს.

## ნიკოლოზ ბასილაშვილი ჩინეთში ჩელენჯერში მიიღებს მონაწილეობას



მას შემდეგ რაც ნიკოლოზ ბასილაშვილმა საქართველოს ნაკრებთან ერთად დევისის თასზე სრული ფიასკო განიცადა, ქართველი ჩოგბურთელი ბედს ჩინეთში დაგეგმილ ჩელენჯერზე სცდის.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები დანიასთან განადგურდა და ყველაფერი ბასილაშვილის წაგებული შეხვედრით დაიწყო, როდესაც მსოფლიოს 118-ე ჩოგანმა ყველასთვის მოულოდნელად რეიტინგში არმყოფ 19 წლის ჩოგბურთელთან დათმო შეხვედრა.

ჩინეთის ჩელენჯერის საპრიზო ფონდი 50.000 დოლარია და ბასილაშვილი მეორე ნომრად არის განთესილი.

ამ ტურნირზე წარუმატებლობის შემთხვევაში ქართველი ჩოგბურთელი რეიტინგში საგრძნობლად უკან დაიწევს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## პროგრამა

**სამშაბათი 8 მარტი**

07.00, 07.30, 08.00, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.30 "მოამბე" 07.05, 08.30, 09.10 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00 ტ/სერ "**დაუნტონის სააბატო**" 12.30 "გურმანია" 13.00 ტ/სერ "**ნენეტ ვეტრინე**" 14.05 "დღე მუზეუმში" 14.30 ქართ მხ/ფ "**სანამ წვიმა გადაიღებს**" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ "**ქსელი**" 19.00 "ტელეპლოგი" 19.30 "სიტყვების თამაში" 20.30 "ცხოვრება ციფრებში" 21.00 სოციალური თოქ-შოუ 22.00 დ/ფ "თოფ-გიარი" 22.50 "ეპოქის ფრაგმენტი" 22.59 "კომუნიკატორი" 23.00 ჩემპიონთა ლიგის წინასამატჩო გადაცემა. 23.40 ჩემპიონთა ლიგა 1/8 ფინალური მატჩი: **რეალი – რომა.** 01.40 მხ/ფ "**თირმანები დაკარგულნი**"(ს.იოჰანსონი) 03.20 "პირადი ექიმი"

08.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" 10.00 "გეოფაქტორი" 10.10 "აფხაზეთი" 11.00 დ/ფ "ჩირლიდერები" 13.00 დ/ფ "გაზაფხული დაკვირვების ქვეყ" 14.00, 16.00 ტ/სერ. "**ნიკიტა**" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 21.30 "არგუმენტების დრო" 23.00 "ნამდვილი დრო" 23.40 ჩემპიონთა ლიგა" მერვედ ფინალი: **ვოლფსბურგი – გენტი.**

06.30, 14.40 სერ. "**ორი ბედი**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.00 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**ოცი წუთი**" 11.20 სერ. "**დახურული სკოლა**" 12.30 დღის შოუ 16.00 სერ. "**თანხმობა**" 17.35, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ნამსხვრევები**" 22.00 ცოდნა ფულია 23.00 პაატა ბურჭულაძე – 60 01.10 მხ/ფ. "**ანჟელიკა ანგელოზების მარკიზა**" 03.10 მხ/ფ. "**საიდუმლო სია**" (ი. მაკგრეგორი) 04.55 მხ/ფ. "**იუნაითედი: მიუნხენის ტრაგედია**" (კ.ეშფილდი)

06.30 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30, 14.05 "შუა დღე" 15.55 სერ. "**ქარადაი – ახალგაზრდობა**" 16.55 სერ. "**ინდური საგა**" 18.45 სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" 19.45, 20.05 სერ. "**ალთემა**" 20.50 ლოტო 22.00 არჩევანი 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

9.00, 18.30 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 9.30, 15.30 Discovery- ფილმების მეცნიერება 10.30, 17.30 ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" 11.00 მზარეულები 11.30 შუადღე 14.00, 20.00 ცოლები და ქმრები 14.30, 19.00 სერ. "**ცენტრი**" 16.30 აირჩიე კაბა 20.30 20.30 22.00 მხ/ფ "**საით მიუყავართ ოცნებებს**" 0.00 ID Extra - სახელის თითქმის გაყვებდა 1.00, 2.45 URBAN STORIES 1.50 ჯიდიპედია

06.10 სპექტაკლი "**მამაშვილობაში**" 07.10 დ/ფ 07.55 საქართველოს სამარადოს ისტორია 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 საინფო 10.35 პატრიკი ლოცვა 10.40 ზღაპრზე-ჯეფი 11.10 თათბა ზეტი 11.30 გამოცდილება ხელოვნება ("ტყავი, ბეწვი, ორნამენტი–ბედა ჭახლიძე") 11.40 საეკლესიო ამბიფნები 12.10 მხ/ფ "**მიმბარის მოზაიკება**" 1 13.30 შუადღე ერთსულოვნებაზე 14.30 დეკორატიული ფლორა "ზამთ.კულეზი" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.20 ქართ. ან/ფ 15.40 კონცერტი 17.10 მეზღვარები წუთისოფლისა 17.45 საბრძნისმეტყველება 17.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო-ეფრემ ასურის ლოცვა II 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 სჯანი 19.50 ღია აუდიტორია "ო.სიმაშვილი-ილიას მკვლელობა" 20.30 კვირიაკის სიუჟეტი 20.40 ძილი ნებისა "საუბარი ელისაბეძე" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ერთიანი მშვიდობიანი კაკასია 22.25 ჩვენი ფონდი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.30 დ/ფ 00.30 ერთსულოვნების სალონი 01.00 შუადღე ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00, 3.30 "კონტაქტი" 7.30 ან/ფ "ბუშტუკები" (ფენტეკულციიოთ) 7.55 "საქმიანი დილა" 10.05, 11.05 სერ. "**შავი ფული და სიყვარული**" 12.30, 18.30, 0.00 "ბიზნეს კონტაქტი" 13.30 დოკ/ფ "პროფესია მოგზაური" 14.05, 15.30, 16.05, 17.05, 01.00 სერ. "**კარდელიტა**" 18.00 "კონტაქტი ექსპრე" 19.05 სერ. "**ქალთა ვეიავი**" 20.00 "კონტაქტი რეაზე" 20.45, 22.30 სერ. "**გჭირდები**" 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


8 მარტისთვის

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| ვალუტა | კურსი |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.4716 |
| ევრო | 2.7146 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.4956 |
| 100 რუსული რუბლი | 3.3737 |

**ამინდის პროგნოზი 8 მარტისთვის**





## 9 მარტიდან გაზეთ ახალ თაობასთან ერთად



## მოვემზადოთ სააბიტურიენტო გამოცდებისთვის

**ბიოლოგია** – თეორიული მასალა + ტესტები + 1500 ელექტრონული ტესტი

**გადაფხიკე კოდი და ივარჯიშე ინტერნეტში!**

**ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი**

„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ სააბიტურიენტო გამოცდებისთვის მოსამზადებელ წიგნებში შესულია ბიოლოგიის, გეოგრაფიის, ფიზიკისა და ქიმიის პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები.

წიგნების უკანა ყდაზე დატანილია კოდი, რომლის საშუალებით მოსწავლეებს გამოცდებისთვის მომზადება და ცოდნის გადამოწმება დამატებით 1500 ტესტით ინტერნეტით შეუძლიათ.

ეს ელექტრონული ტესტები რეალური გამოცდების სიმულაციაა.

ყურადღება! გადასაფხეკი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. გადაფხიკეთ ეს ფენა და მოცემული კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ ფეისბუქის გვერდზე (Fb.com/bakursulakauripublishing).

ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს.

ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩააბაროთ როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.

გაიხსენეთ ან შეაჯამეთ თეორიული მასალა ამ წიგნების მიხედვით, მოაწყვეთ გამოცდების სიმულაცია სახლში და წარმატებით ჩააბარეთ სააბიტურიენტო გამოცდები!

**16 მარტიდან გაიყიდება გეოგრაფია • 23 მარტიდან – ფიზიკა • 30 მარტიდან – ქიმია**

## 7 მარტიდან!



„ახალ თაობასთან“ ერთად

**მურმან ლებანიძე**

**100 ლექსი**

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**


## მარიო გიოტცე შესაძლოა ევრო 2016-ის მიღმა დარჩეს



მარიო გიოტცეს რთული პერიოდი აქვს და მიუნხენის ბაიერნის სასტარტო შემადგენლობაში ვერ ხვდება, რის გამოც შესაძლოა გერმანიის ნაკრებშიც დაკარგოს ადგილი.

გიოტცეს ერთი პერიოდი ტრავმა ჰქონდა, მაგრამ ის ამჟამად სრულებით ჯანმრთელია, მაგრამ მოედანზე მაინც არ გამოდის. ამის გამო ხშირია ჭორები იმის შესახებ, რომ შესაძლოა გიოტცემ გუნდი შეიცვალოს და სხვა ქვეყანაში გადავიდეს სათამაშოდ. მაგალითად, ლივერპულში, სადაც მარიოს თანამემამულე იურგენ კლოპი იწვევს სათამაშოდ.

გერმანულ პრესაში უკვე აქტიურად იწერება იმის შესახებ, რომ თუ გიოტცე ისევ სათამაშო პრაქტიკის გარეშე იქნება, იოაჰიმ ლიოვი მას ევროპის ჩემპიონატზე არ წაიყვანს.

## მესის ახალი რეკორდი



ლიონელ მესი თითქმის ყველა გატანილი გოლის შემდეგ ახალ რეკორდს ამყარებს. ეიბართან შეხვედრაში, რომელიც ბარსელონამ 4:0 მოიგო, მესიმ დუბლი შეასრულა და ლა ლიგის ისტორიაში გახდა პირველი ფეხბურთელი, რომელმაც 8 სხვადასხვა სეზონში 20-ზე მეტი გოლის გატანა მოახერხა.

მესისთან ახლოს არის მისი მუდმივი მეტოქე კრიშტიანო რონალდუ, რომელმაც იგივე შედეგი 7 სხვადასხვა სეზონში აჩვენა.

მესიმ ტრავმის გამო 2 თვეზე მეტი გამოტოვა, მაგრამ მის ანგარიშზე უკვე 21 გოლია და არგენტინელ მაესტროს აქვს შანსი, ლა ლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდეს. ამჟამად საუკეთესო ბომბარდირია კრიშტიანო რონალდუ 27 გოლით.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

### კალეიდოსკოპი



## სამხრეთ კორეაში პანდების საზეიმო შეხვედრა შედგა



ორი დიდი პანდას საზეიმო შეხვედრა გაიმართა სამხრეთ კორეის აეროპორტ ინჩხონში. ბამბუკების დათვები აი ბაო და ლე ბაო ჩინეთიდან ჩამოვიდნენ. საზეიმო ცერემონიას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის რესპუბლიკის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. აღსანიშნავია, რომ ბოლო 22 წლის მანძილზე ისინი პირველი დიდი პანდები არიან. აი ბაო და ლე ბაო სამხრეთ კორეას 15 წლით გადაეცა. დათვები ერთი თვის მანძილზე კარანტინში იქნებიან, ხოლო აპრილში მათ საზოგადოებას წარუდგენენ. აღსანიშნავია, რომ სახელი აი ბაო ითარგმნება, როგორც „საოცარი საგანძური“, ხოლო სახელი ლე ბაო – „სასიამოვნო საგანძურს“ ნიშნავს.

## ფლეიბოის მოდელი კრიმინალურ ავტორიტეტზე თავდასხმისთვის დააპატიმრეს



ბოსნია-ჰერცეგოვინის სასამართლომ ფლეიბოის ყოფილ მოდელ სლობოდანკა ტოშიჩს 2,5-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა მკვლელობის მიზნით ადგილობრივ კრიმინალურ ავტორიტეტ ჯორჯ ედრალზე წინაწარი შეთანხმებით თავდასხმაში მონაწილეობისთვის.

29 წლის მანეკენმა ედრალე ხაფანგში შეიტყუა, სადაც მას ელოდნენ ბანდის წევრები, რომლებიც მის მოკვლას აპირებდნენ, თუმცა მამაკაცი თავდასხმის შემდეგ გადარჩა და ტოშიჩის წინააღმდეგ ჩვენება მისცა.

სასამართლომ დაადგინა, რომ მკვლელობის განზრახვით თავდასხმა დაგეგმა და ორგანიზება გაუწია ადგილობრივი მეორე დანაშაულებრივი დაჯგუფების მეთაურმა დარკო ელეზმა, რომელთანაც კავშირი ჰქონდა ტოშიჩს. გოგონას სურათი ჟურნალ ფლეიბოის სერბული ვერსიის გარეკანზე გამოჩნდა. ის ადგილობრივ რეალითი შოუში მონაწილეობდა. ის 2015 წელს ხორვატიაში დააპატიმრეს შემდეგ მისი ექსტრადირება ბოსნია-ჰერცეგოვინაში განხორციელდა, რათა სასამართლოს წინაშე წარმდგარიყო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ტრაგედია „ჰამლეტის“ პერსონაჟი; 2. დაბა სიღნაღის რაიონში; 3 ხელით ნაქსოვი კედლის ხალიჩა; 4. იაპონური თოჯინების თეატრი; 5. ინგლისელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 9. ჩრდილო ამერიკაში გავრცელებული დიდი დათვი; 12. გადასახადებისგან განთავისუფლებული ყმა ძველად საქართველოში; 14. დაღესტნელთა სახელწოდება საქართველოში ძველად; 15. კამეჩის ნაშიერი; 17. მდინარე რომში; 18. მიწის ფართობის საზომი ერთეული აშშ-ში.

**თარაზულად:** 6. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 7. პოლონელი კომპოზიტორი, პოლონური საოპერო სკოლის ფუძემდებელი; 8. პორტუგალიური ღვინო; 10. ქართული ბანკი; 11. „შაჰნამეს“ ქართული ვერსია; 13. ხელშეკრულება, ანდერძში შეტანილი საგანგებო პირობა; 16. გამცემლობა, ორგულობა; 19. უდაბნო აფრიკის სამხრეთში; 20. კუთხმზომი გეოდეზიური ხელსაწყო.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა




## იუმორი

პატრულის მოძრაობის საწინააღმდეგოდ მიმავალ ნასვამ მძღოლს აჩერებს და ეკითხება:

– სად მიდიხარ?

– არ ვიცი, მაგრამ, მგონი, დავაგვიანე, ყველა უკვე უკან მოდის...

•••

ექიმი მიღებაზე მისულ გეოგრაფიის მასწავლებელს ეკითხება:

– რა გაწუხებთ?

– ფეხი.

– რა ადგილას?

– ქუსლიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რატომ ხარ მოწყენილი?

– ჩემი ცოლი ერთი კვირით დედამისთან მიდის...

– მერედა, არ გიხარია?

– როგორ არა, მაგრამ, თუ დაინახა, რომ არ მწყინს, გადაიფიქრებს...

•••

შვილი მამას ეუბნება:

– მამი, მანქანა მიყიდე, რაა!

– რა ჩემ ფეხებად გინდა?

– ფეხით რომ არ ვიარო.

– მა ფეხები რა ჩემ ფეხებად გინდა?

– ერთი „გაზითვინა“ და მეორე „ტორმუზითვინა“.

•••

კაცს ქალს ურიგებენ. გააცნეს და ნათესავი ეკითხება:

– აბა, რას იტყვი, მოგწონს?

– რა ვიცი, აბა, ეგრე როგორ შევაფასო, აი, რო გაიხდიდეს...

იქ მყოფებმა ითათბირეს და ბოლოს გოგო დაითანხმეს, გაეხადა.

– აბა, ახლა რას იტყვი, მოგეწონა?

– არა, მაგას არ შავირთავ...

– რათა, კაცო, რას უწუნებ?

– ალერსიანი თვალები არა აქვს.

•••

გზაზე მანქანით მიმავალი ვირზე ამხედრებულს წამოეწევა და დამცინავად ეკითხება:

– ბიძაჩემო, მაგ ვირს არ მომყიდი?

– შვილო, მე კი მოგყიდი, მარა დედაშენი ორ ვირს მოუვლის?!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა